ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 26 იანვარი, 2018 №21 (7566) ფასი: 50 თეთრი

გოგა გულორდავა: „თუ ვინმე ამბობს, რომ კონკრეტულ პირს ნარკოტიკი ჩაუდეს, ამით მისი დამკავებელი პოლიციელების უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს“



გვ.7

26 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „აზერბაიჯანი დავით გარეჯისა და ერისიმედის გადაცემას ითხოვს“



გვ.5

„ოფიციალურმა ბაქომ თავისი პოზიცია პოლიტოლოგ სადიხოვს გააჟღერებინა“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „აგვიხსნან მოღალატე არასამთავრობოებმა, რატომ არ აპროტესტებენ ამას“





გვ.3

## გოგიტა დალაქიშვილს ღარიბაშვილი ალასანიას, სუბარისა და კბილაშვილის წინააღმდეგ აქციების გამართვას სთხოვდა?

რატომ დააკავეს „ქართული ოცნების“ აქტივისტი

ნანა კაკაბაძე: „ერთზე მეტი დოზისთვის სასჯელი უმკაცრესი უნდა იყოს!“




გვ.4

„კანონის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში სარეაბილიტაციო ცენტრები იარსებებს“

ირაკლი ალადაშვილი: „რეზერვის სისტემა საქართველოსთვის აუცილებელია“



გვ.2



გვ.3

შოთა მალაშხია: „ხალხში ბოლმა და დარდი მატულობს“

სამართალი გვ.7

პროკურორი იქნება თუ რომის პაპი, გზა უნდა დაუთმოს, თუ მას ევალება



ვახტანგ გომელაური საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ახალ ხელმძღვანელს შეხვდა



პეკინის გამზირზე „დელფოსის“ მაღაზია გაქურდეს




ეკონომიკა გვ.6



პეკინის ქუჩაზე უძრავი ქონების ფასი შემცირდა




რა საბუთები დასჭირდებათ ტაქსის მძღოლებს ნებართვის ასაღებად



მამუკა ბახტაძე: ინვესტორთა მხრიდან საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ინტერესია

ISSN 1987-9385

2 „ყოველწლიურად საქართველოში არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის გამო რამდენიმე ასეული ადამიანი იღუპება“

5 ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი შენობა შესაძლოა აღარ აშენდეს

4 „კარფურში“ დამზადებული ქათმის სენდვიჩით 16 ადამიანი მოიწამლა

2 „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ — 2017 წელს თბილისში 31.038 ოჯახი გადარჩა

# ირაკლი ალადაშვილი: „რეზერვის სისტემა საქართველოსთვის აუცილებელია“

## „როდესაც „ჯაველინი“ გაქვს, მოწინააღმდეგესთან ფსიქოლოგიურ უპირატესობაში ხარ“

ნათია ხურცილავა



სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ რეზერვისა და მობილიზაციის ახალ კონცეფციაზე საუბრობს.

***– ბატონო ირაკლი, რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ გამოქვეყნდა რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია. როგორ შეაფასებთ მას?***

– პირველ რიგში, რეზერვისა და სამობილიზაციო სისტემის შექმნა აუცილებელი იყო, მით უფრო, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც საფრთხეები არ აკლდება. 2004-2005 წლიდან მოყოლებული, რეზერვის კონცეფციის შექმნის რამდენიმე მცდელობა იყო, თუმცა უამრავი შეცდომა დაუშვეს, საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა, მაგრამ შედეგები სავალალო მივიღეთ.

***– 2008 წლის ომს გულისხმობთ?***

– დიახ. რაც შეეხება ახალ კონცეფციას, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ წარმოგვიდგინა, ორი ტიპის რეზერვი შეიქმნება: აქტიური და სამობილიზაციო. შეიძლება რეზერვი გყავდეს, მაგრამ მობილიზება ვერ შეძლო. მაშინ აზრს კარგავს ყველაფერი. ამიტომ სამობილიზაციო ნაწილს უნდა მივაქციოთ ყურადღება. საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩვენ არ გვაქვს იმხელა ტერიტორიები, რომ უკანდახევა და დროის მოგება შეგვეძლოს, სწორედ ამას უნდა მოერგოს, უნდა იმუშაოს.

***– რას ნიშნავს აქტიური რეზერვი და სამობილიზაციო რეზერვი?***

– აქტიური რეზერვი სამი ნაწილისგან შედგება: შეიარაღებული ძალების რეზერვისგან, ეს ის ხალხია, რომელიც უშუალოდ შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეხმაროს საბრძოლო მოქმედებების დროს, როდესაც დანაყოფს დანაკარგი აქვს, მაშინ უნდა შეავსოს დანაკარგი. ამიტომაც შეიარაღებული ძალების რეზერვისტები დაკომპლექტდებიან ძირითადად იმ ხალხით, რომლებიც კონტრაქტით მსახურობდნენ, სავალდებულო სამხედრო სამსახური აქვთ გავლილი.

მეორეა ტერიტორიული რეზერვი, სადაც წარმოდგენილია ის ხალხი, რომლებსაც შეიძლება სულაც არ აქვთ სამხედრო გამოცდილება და ბრძოლისთვის ნაკლებად გამოდგებიან, მაგრამ თავიანთ ტერიტორიას, სადაც ცხოვრობენ, კარგად იცნობენ და შეუძლიათ, შეიარაღებულ ძალებს დაეხმარონ. მაგალითად, ისინი შეიძლება იყვნენ გამყოლები, მომმარაგებლები, კომუნიკაციაში დაეხმარონ და ა.შ. საქმე ყოველთვის გამოჩნდება.

მესამეა სპეციალისტთა რეზერვი. ჯარს არ შეუძლია, შტატში ჰყავდეს ყველა მიმართულებისა თუ სფეროს სპეციალისტი, რომელიც შეიძლება დასჭირდეს. შეიძლება დასჭირდეს გვირაბის სპეციალისტი, ხიდების სპეციალისტი, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები. ამ დროს შეიძლება რეზერვში გყავდეს სპეციალისტი და საჭიროებისამებრ გამოიყენო. ეს ის ხალხია, რომლებიც სამოქალაქო პირები არიან, მაგრამ არიან საქმის პროფესიონალები და მათი ცოდნა და გამოცდილება შეიძლება ამ კუთხით დასჭირდეს ქვეყანას.

2008 წლის ომის დროს ჩვენი ქვეყნის კიბერუსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრა. ამ დროს ავტომატითა და ტანკით ვერაფერს გახდები, მნიშვნელოვანია სპეციალისტები, რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. ამ დროს ადამიანმა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა შეიძლება მოიხადოს ისე, რომ არ არის აუცილებელი, ავტომატი აიღოს ხელში, თავისი პროფესიონალიზმით დაეხმაროს ქვეყანასა და მის უსაფრთხოებას.

რაც შეეხება სამობილიზაციო რეზერვს, აქ შედიან 18-დან 60 წლამდე მოქალაქეები. ეს არის სავალდებულო, რომლებიც იქნებიან ამ ელექტრონულ სიაში და წელიწადში გაივლიან გარკვეულ მოსამზადებელ კურსს.

სამობილიზაციო რეზერვის მთავარი იდეა ის არის, რომ რაც შეიძლება მოსახლეობის დიდი ნაწილი მზად იყოს სხვადასხვა კრიზისული ვითარებისთვის.

***– საუბარია არა მხოლოდ ომზე?***

– დიახ, საერთო ჯამში, აქ სხვადასხვა კრიზისი იგულისხმება და არა მხოლოდ ომი. მაგალითად, ზაფხულში, ბორჯომის ხანძრის დროს, საჭირო გახდა ჯარის დახმარება, საჭირო იყვნენ მომზადებული მოქალაქეები, რომლების ძებნა კატასტროფების დროს კი არ იქნება საჭირო, არამედ გამოძახების დროს ადგილზე იქნებიან.

***– ყოფილი ხელისუფლების დროს სარეზერვო სამსახური არსებობდა, მაგრამ 2008 წლის ომმა დაგვანახა, რომ რეზერვი უფრო მეტად თავის ტკივილი აღმოჩნდა, ვიდრე დამხმარე ძალა. ვნახეთ, როგორ იყო გორის ცენტრალურ მოედანზე გაშლილი ეს ხალხი, რომლებიც საკუთარ თავსაც კი ვერ იცავდნენ. ასეთი ლაფსუსებისგან რა დაიცავს რეზერვს?***

– მთავარია მართვა. მაშინ, სამწუხაროდ, არა მხოლოდ რეზერვისტები აღმოჩნდნენ ამ დღეში, არამედ არმიაც დადგა მართვის უდიდესი პრობლემის წინაშე. ცხადია, ობიექტური მიზეზებიც არსებობდა, მაგრამ არსებობდა სუბიექტური მიზეზებიც. რეზერვისტების საკითხი განყენებული ვერ იქნება. საუბარია ქვეყნის ტოტალურ თავდაცვაზე. ყველა ძალით უნდა შეგვეძლოს ქვეყნის დაცვა.

***– არ ფიქრობთ, რომ კარგად მომზადებული საკონტრაქტო ჯარი უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც პროფესიონალს უხდი ფულს და ის ვალდებულია, მაღალ დონეზე შეასრულოს თავისი მოვალეობა? ეს თითქოს უფრო ევროპული მიდგომაა, ნატოს წევრ ქვეყნებსაც საკონტრაქტო ჯარი ჰყავთ და რეზერვისა და წვევამდელების სისტემა იქ არ არის.***

– ნატოს არ აქვს მოთხოვნა, რომ აუცილებლად საკონტრაქტო ჯარი უნდა გვყავდეს. მეტიც, ნატოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც თავის დროზე გააუქმეს, ახლა ამ სამსახურების აღდგენას იწყებენ. მეორე, საქართველოს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, კონტრაქტით დაკომპლექტებული რეგულარული არმია ჰყავდეს. მშვიდობიანობის პერიოდში რეგულარული არმიის შესანახად დიდი თანხებია საჭირო. შეიარაღებული კონფლიქტის დროს დანაკარგი დიდია და ამ დროს საჭიროა შევსება. ვინ უნდა შეავსოს?! საიდან უნდა შევავსოთ, ქუჩიდან წავიყვანოთ?! ეს ხომ გამოვიარეთ აფხაზეთში, სამაჩაბლოში?! ეს არ არის სწორი. ამიტომ მთავარია, ეს ხალხი იყოს მომზადებული. აუცილებელი არ არის მაინცდამაინც ომისთვის, ბუნებრივი კატაკლიზმების, კატასტროფების დროსაც გამოადგებათ მათ ეს ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც ამ მომზადების დროს გაივლიან.

***– ბატონო ირაკლი, ჯაველინებზეც მინდა გკითხოთ. მინისტრის განცხადებით, ქართველი სამხედროები ამერიკელებთან გაივლიან ამ სარაკეტო სისტემის მართვის მომზადებას. რას ნიშნავს, რომ ეს სისტემა გაქვს?***

– ამ საკითხს ორი მხარე აქვს: ერთია პოლიტიკური, მეორე – სამხედრო. პოლიტიკურ ნაწილს რაც შეეხება, მოიხსნა ერთგვარი ჩუმი ემბარგო, რომელიც იყო საქართველოზე და რომელზეც არავინ არაფერს ამბობდა, მაგრამ ეს ასე იყო.

რაც შეეხება სამხედრო-ტექნიკურ ნაწილს, ჯაველინი არის მესამე თაობის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო სისტემა. ის მოქმედებს პრინციპით – გაისროლე, მოარტყი, დაივიწყე. ჯაველინის მართვად რაკეტას შეუძლია, ტანკის კოშკურას ზემოდან დაეცეს, სადაც ნებისმიერ ტანკს ნაკლები ჯავშანი აქვს. როდესაც მოწინააღმდეგემ იცის, რომ შენ გაქვს ჯაველინი, ამ დროს ტანკისტები შეტევამდე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

***– რუსეთს აქვს ჯაველინი?***

– არა, რუსეთს მესამე თაობის ტანკსაწინააღმდეგო, მართვადი სარაკეტო კომპლექსი შეიარაღებაში არ აქვს.

# „ყაზტრანსგაზ–თბილისი“ — 2017 წელს თბილისში 31.038 ოჯახი გადარჩა




ყაზტრანსგაზ-თბილისის სპეციალისტებმა თბილისში 31.038 არასწორად დამონტაჟებული გამათბობელი და წყალგამაცხელებელი ჩახსნეს.

ამის შესახებ კომპანია სპეციალურ განცხადებასავრცელებს.

კომპანიის ინფორმაციით, გლდანი/სანზონა/თემქაზე 15.684 არასწორად დამონტაჟებული დანადგარი ჩახსნეს; სამგორში – 14.173; საბურთალოზე – 3.033; ნუცუბიძეზე – 2.400; დიდუბე/დიღომში – 5.677; ვაკე/წყნეთში – 1.362; ისანი/ვაზისუბანში – 9.687; ჩუღურეთში – 8.289; მთაწმინდა/კრწანისში – 6.853.

თუმცა, როგორც კომპანიაში აცხადებენ, სტატისტიკური მონაცემებით, ჩახსნილი საშიში დანადგარების 50% მეპატრონეებმა კვლავ მიაერთეს.

ცნობისათვის, ბუნებრივი აირით მოწამვლის შედეგად 2015 წლიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში თბილისში 82 ადამიანი დაიღუპა.

# ლარში გაცემულ სესხებზე საშუალო წლიური განაკვეთი 28%–მდე გაიზარდა

ლარში გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ეროვნული ბანკის 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 22,7%-ს შეადგენს (2016 წელს -18,2%).

ამავე მონაცემებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 23,6%-დან 28%-მდე გაიზარდა, იურიდიულ პირებზე კი პირიქით, 11,5%-დან 11,4%-მდე შემცირდა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს, აქ საპროცენტო განაკვეთი შემცირებულია. ეროვნული ბანკის სტატისტიკით, 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით, უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 7,9% იყო (2016 წელს – 8,7%).

ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას ფინანსისტები რამდენიმე ფაქტორს უკავშირებენ, მათ შორის, არასტაბილურ გარემოს, ლარის ძვირ რესურსსა და ლარიზაციის პროგრამას.

# „ყოველწლიურად საქართველოში არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის გამო რამდენიმე ასეული ადამიანი იღუპება“




რუსთაველის გამზირზე მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის მხარდამჭერმა საპროტესტო აქციამ მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა.

როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ისინი მომავალი აქციის დროსა და ადგილს მოგვიანებით დააანონსებენ.

აქციის ორგანიზატორებმა კიდევ ერთხელ გააჟღერეს თავიანთი მოთხოვნები და გააპროტესტეს საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მსახიობ გიორგი გიორგანაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

აქციის მონაწილეები ასევე მოითხოვენ, გადაიხედოს ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა და გახდეს უფრო ჰუმანური, ასევე, დაისაჯონ ის სამართალდამცველები, რომლებიც შემჩნეული არიან ნარკოტიკული საშუალებების ჩადებაში.

– რაც უფრო გადავდებთ ჰუმანური ნარკოპოლიტიკის მიღებას, მით უფრო მეტი მსხვერპლი გვეყოლება.

ამის შესახებ „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის წარმომადგენელმა შოთა დიღმელაშვილმა პარლამენტთან გამართულ საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

შოთა დიღმელაშვილმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად საქართველოში არაჰუმანური ნარკოპოლიტიკის გამო რამდენიმე ასეული ადამიანი იღუპება. მისივე თქმით, გიორგი გიორგანაშვილი სამართალდამცველებმა ციხეში იმის გამო ჩასვეს, რომ მისგან უნდოდათ საზოგადოების დაცვა, თუმცა საზოგადოებას დაცვა არა გიორგანაშვილისგან, არამედ იმ სახელმწიფოსგან უნდა, რომელიც, ნაცვლად კრიმინალებისა, უდანაშაულო ხალხს იჭერს.

ამასთან, შოთა დიღმელაშვილმა აქციაზე შეკრებილ ხალხს მოუწოდა, თავი შეიკავონ პროვოკაციებზე წამოგებისგან და აქციამ მშვიდობიან რეჟიმში ჩაიაროს.

საპროტესტო აქცია რუსთაველის გამზირზე გრძელდება.




ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შოთა მალაშხია: „ხალხში ბოღმა და დარდი მატულობს“

## „უკმაყოფილო ადამიანები ყველაფერს წალეკავენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ **შოთა მალაშხიას.**

***– საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ მოითხოვს არსებული ნარკოპოლიტიკის შეცვლას და აპროტესტებს პოლიციის რეიდებს. ამას ყველაფერს ერთად უწოდებენ ანტიდემოკრატიულ ქმედებებს. რეალურად ექმნება საფრთხე დემოკრატიას საქართველოში?***

– დემოკრატია დიდი ხანია საფრთხეშია. საზოგადოების მღელვარება გასაგებია. ნარკოპოლიტიკის შეცვლაზე დიდი ხანია, საუბრობენ. ერთმნიშვნელოვანია, რომ მოხმარების დეკრიმინალიზაცია აუცილებელია, გასამიჯნია მოხმარება და გასაღება. მთავარი მგონია არა ახალი კანონის მიღება, არამედ, მისი აღსრულება.

***– ნარკოპოლიტიკის ახალი კანონმდებლობის შესრულება გართულდება?***

– სახელმწიფომ უნდა განაცხადოს, აქვს თუ არა ახალი ნარკოპოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმები. ეს არის სპეციალისტები, რომლებმაც უნდა უმკურნალონ ნარკომანებს და ფინანსები რეაბილიტაციისათვის. ჩვენ არ ვიცით, აქვს თუ არა სახელმწიფოს ამ პირობების შექმნის შესაძლებლობა. ნარკოპოლიტიკასთან მიმართებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც – ნებისმიერ სფეროში.

***– კერძოდ?***

– სახელმწიფო სტრუქტურები მოშლილია, არ არსებობს კონცეპტუალური ხედვები და პროგრამები არცერთ დარგში. პოლიცია ატარებს რეიდებს, რომლებიც საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს. ამით უნდათ პოლიციის როლის ამაღლება.

***– პოლიციის როლი ამით არ მაღლდება?***

– პოლიციის როლი და ავტორიტეტი იზრდება საზოგადოებასთან კონტაქტით. სამართალდამცავმა ორგანოებმა კარგად უნდა იცოდნენ საზოგადოების განწყობები. ისინი ამ განწყობებს წინ უნდა უსწრებდნენ. ჩვენთან რომ კრიმინოგენური თვალსაზრისით საშინელი მდგომარეობაა, ამას ფაქტები მოწმობს. საგანგაშო ისაა, რომ კრიმინალმა ჩააღწია ბავშვებში და მათ დაიწყეს ერთმანეთის ხოცვა. მოშლილმა სტრუქტურებმა, უსამართლობამ, მძიმე ფონმა ეს შედეგი გამოიღო.



***– ბავშვებზე, ალბათ, ისიც მოქმედებს, რომ ბევრი მათგანის დედა ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია წასული.***

– ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. ბევრ მოსწავლეს ადრეც წასული ჰყავდა დედა, მაგრამ კრიმინალის ასეთმა საგანგაშო შემთხვევებმა ახლა იჩინა თავი. საზოგადოებაში აგრესია მატულობს, სახელმწიფო ინსტიტუტები ნორმალურად ვერ ფუნქციონირებენ, ჩვენთან დაბრუნდა 90-იანი წლების მენტალიტეტი და მდგომარეობა.

***– ანუ?***

– ბრუნდება მდგომარეობა, როცა ყველგან წამყვანი როლი ეკავათ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს. ახლაც ეს სიტუაციაა. სამსახურებში დანიშვნა ან ტენდერის მოგება არ ხდება კონკურსების საფუძველზე. გაბატონდა კორუფცია და ნეპოტიზმი. საზოგადოების უდიდესი ნაწილი გაღარიბებულია და პოზიტიურს ვერაფერს ხედავს.

***– პოზიტივზე მთავრობა საუბრობს. სიამაყის საგანია საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და ბიზნესის დაწყების სიმარტივე.***

– როცა ტელევიზორიდან ადამიანს ესმის ის, რაც რეალობას ეწინააღმდეგება, ეს უფრო ძაბავს სიტუაციას. როცა შენი მდგომარეობა უარესდება და სხვას გიმტკიცებენ, ბრაზდები. ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებულ პირებს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა და ოჯახური ინტერესი აღელვებთ. გიორგი გაჩეჩილაძემ, იმავე უცნობმა, რამდენჯერმე ღიად ისაუბრა დარღვევებზე, უსამართლობაზე, კარტელურ გარიგებებზე ტენდერების სფეროში. მისი განცხადებების შინაარსი სწორია. დარღვევა უამრავია. საოცარია მანერა, რომლითაც ის მთავრობის ხელმძღვანელისაგან სამართალს მოითხოვს. ესაა ძმაკაცურ-ქუჩური დიალოგი – ძმაო, ჩავიკუზოთ და საქმე გავარჩიოთო. „ქართული ოცნება“ ხალხს სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა. ეტყობა, სამართალმა უკვე ჭამა პური და აღდგა 90-იანი წლები. მალე წილების განაწილება გააქტიურდება. შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრი, თარგამაძე, ამბობდა, ჩვენ ხელფასები არ გვინდა, თავს ჩვენვე შევინახავთო. განსხვავება ბიუჯეტშია. მაშინდელი ბიუჯეტი 600-მილიონიანი იყო, ახლა – 12-მილიარდიანია. ახლანდელები ხრავენ ამ გაზრდილ ბიუჯეტს.

***– რას ნიშნავს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატ კახა ოქრიაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ 10-ლარიანი წამალი კი არ არის ძვირი, მოსახლეობაა დაბალშემოსავლიანი? ეს სოციალური შუღლის გაღვივებას ჰგავს.***

– ამ ხალხს არასდროს მიაჩნდა თავი საზოგადოების ნაწილად. ოქრიაშვილი და მისნაირები ფიქრობენ, რომ ისინი წარმოადგენენ წარმატებულ ზედაფენას, უმრავლესობა კი ჭაობია.

***– ადრე ხომ იკავებდნენ თავს ასეთი გამომწვევი განცხადებებისაგან?***

– იკავებდნენ, იმიტომ რომ სხვა სიტუაცია იყო. მაშინ ძლიერდებოდა სახელმწიფო სტრუქტურები. ეკონომიკის აყვავება ერთბაშად ძნელია. მანამდე, ვისაც სჭირდება, სახელმწიფომ იმაზე უნდა იზრუნოს სამედიცინო დაზღვევა და მედიკამენტები იქნება ეს, ფულადი შემწეობა თუ უმაღლესი განათლება.

***– აქ მხოლოდ სოციალური სოლიდარობის პრობლემა არ დგას. საქართველოში წამლები ყველაზე ძვირია რეგიონში.***

– ეს მანკიერი წრის ნაწილია. როცა სახელმწიფო ორგანოები ვერ მუშაობენ, როცა მოხელეები ურიცხვ პრემია-დანამატს იწერენ, როცა თანამშრომლები ინიშნებიან ნეპოტიზმის საფუძველზე, ფარმაცევტული ბიზნესიც თავისას შვრება, თან აღარ ერიდებათ გამაღიზიანებელი განცხადებების გაკეთება. არაფორმალური მმართველი აკეთებს იმას, რაც თვითონ უნდა. მისი ერთ-ერთი მთავარი საქმე ხეების გადატანა-გადმოტანაა. ამ სიტუაციაში სხვებსაც შეეცვალათ ქცევა.

***– საზოგადოება ისევ მხოლოდ ნარკოპოლიტიკას გააპროტესტებს?***

– ხალხში დარდი, ბოღმა და აგრესია მატულობს. ადამიანები ღარიბდებიან. მათ სულ უფრო მეტად აღიზიანებთ გაზრდილი კრიმინალი, პრემია-დანამატებს დახარბებული მაღალჩინოსნები, მათ თვალწინ უსაშველოდ გამდიდრებული დეპუტატები, მინისტრები და მათი მოადგილეები. როგორ აფეთქდება ეს მუხტი, ამის წარმოდგენაც არ მინდა. ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოკვდინებას „ოცნება“ ვერ მოახერხებს, მაგრამ ეს ძალა ცუდად დაამთავრებს. ერთხელ ყველაფერი ისე იფეთქებს, რომ ყველაფერს წალეკავს. მაშინ დანგრეული ქვეყნის აღდგენაზე ისინი იზრუნებენ, ვინც ამისათვის მოწადინებულია.

# გოგიტა დალაქიშვილს ღარიბაშვილი ალასანიას, სუბარისა და კბილაშვილის წინააღმდეგ აქციების გამართვას სთხოვდა?

## რატომ დააკავეს „ქართული ოცნების“ აქტივისტი

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ ყოფილი აქტივისტის გოგიტა დალაქიშვილის დაკავებას სერიოზული მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

დალაქიშვილს ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროიდან იცნობს. ის აქტიურად მონაწილეობდა ნაციონალების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში.

გოგიტა დალაქიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით ოფიციალურად ასეთი განცხადება კეთდება:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული გ.დ. თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული მოქალაქე დ.ე.-ს მისთვის საინტერესო კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის უკანონოდ მოპოვებას დაჰპირდა, სანაცვლოდ კი 3.000 ლარი მოსთხოვა. სამართალდამცველებმა გ.დ. თბილისში, მეტროსადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მას შემდეგ დააკავეს, რაც მას დ.ე.-მ მოთხოვნილი თანხა გადასცა.

გამოძიება ანგარებით კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენებისა და გავრცელების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 158-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.



შსს-მ ჩანაწერებიც გამოაქვეყნა.

უფლებადამცველი მიშა კაჭკაჭიშვილი დალაქიშვილის დაკავებას მის საქმიანობას უკავშირებს. იმავეს ფიქრობს ადვოკატი ირმა ჭკადუა.

დალაქიშვილი ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებდა და მმართველ გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობდა.

რამდენიმე თვის წინ მან „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებაზე სკანდალური განცხადებები გააკეთა, ამბობდა, რომ ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მას მთავრობის წევრების წინააღმდეგ აქციების გამართვას სთხოვდა.

როგორც დალაქიშვილმა რამდენიმე თვის წინ განაცხადა, ის 2013 წელს შსს-ში დაიბარეს და სასჯელაღსრულების მაშინდელ მინისტრ სოზარ სუბარის, მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილისა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ პროვოკაციებისა და აქციების გამართვა მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი სოლიდურ თანხას დაჰპირდნენ.

დაკავებულის მეგობარი მიშა კაჭკაჭიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ დალაქიშვილი ბოლო პერიოდში ხშირად ამბობდა, რომ ის შეიძლება დააკავონ.

უფლებადამცველი ამბობს, რომ მისი მეგობრის დაკავებას სკანდალი მოჰყვება.

– გოგიტას წლებია, ვიცნობ. ჩვენ საერთო სამეგობრო გვყავდა, ზოგი ახლა ხელისუფლებაშია, ზოგი – პარლამენტში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ პოლიტიკურია. ეს ამბავი ასე მარტივად არ დამთავრდება, ამას მოჰყვება აჟიოტაჟი, ბევრის გვარი გახდება ცნობილი. მას რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, შესაძლოა, მე დამიჭირონო. როგორც ჩემთვის ცნობილია, მაღალჩინოსნების გვარებთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი, დაკავებაც და საქმეც. ფაქტია, რომ აშკარად პოლიტიკური ქვეტექსტი დაჰყვება, – ამბობს მიშა კაჭკაჭიშვილი.

ხელისუფლების კრიტიკით თავად კაჭკაჭიშვილიც გამოირჩევა და არ გამორიცხავს, რომ მასაც მოუწყონ რაღაც პროვოკაცია.

– გოგიტას ამბავი არ გამკვირვებია, იმიტომ რომ „ოცნებაში“ აშკარად არ მოსწონთ განსხვავებული აზრის მოსმენა, თან იქ რამდენიმე დაჯგუფებაა. ზოგს დემოკრატიული და სამართლიანი ქვეყნის აშენება სურს, ზოგი დიქტატურისკენ იხრება.

„ქართულ ოცნებაში“ ბევრი ჩვენი მეგობარია. ისინი სხვადასხვა თანამდებობაზე სხედან. ბოლო დროს მათთან რამდენჯერმე მქონდა საუბარი. ჩვენი საუბარი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. მათ მომთხოვეს, რომ ჩემი საქმისთვის მიმეხედა. ჩემს საქმედ ადამიანის უფლებების დაცვა მიმაჩნია და ამას მომავალშიც გავაკეთებ.

ხელისუფლებაში მყოფ ჩემს მეგობრებთან საუბრები მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მეც დამაკავონ. ვანო ზარდიაშვილმა და მურუსიძემ შეიძლება ვანო მერაბიშვილის აგენტობაც დამაბრალონ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კაჭკაჭიშვილი.

ის დარწმუნებულია, რომ დალაქიშვილის საქმის გარშემო დიდი ხმაური ატყდება.



– ჩვენ გულხელდაკრეფილი არ ვისხდებით, მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვიხმაურებთ, ვიბრძოლებთ.... არ დავუშვებთ, რომ საქართველოში ადამიანები განსხვავებული აზრის გამო იდევნებოდნენ, – აცხადებს უფლებადამცველი.

გოგიტა დალაქიშვილის ადვოკატის თქმით, თუკი დამტკიცდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული, ამას დიდი ხმაური მოჰყვება.

ირმა ჭკადუა არც იმას გამორიცხავს, რომ დალაქიშვილის დაკავება მის ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

– ის ეწეოდა უფრო ჟურნალისტურ საქმიანობას, სხვადასხვა ბლოგს აქვეყნებდა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთთან თანამშრომლობდა, აკეთებდა გარკვეულ სტატიებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი მის ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

თუკი საქმის მასალებში ვნახავთ, რომ ის პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული, დარწმუნებული იყავით, ბოლო წუთამდე ვიბრძოლებთ, რათა დავამტკიცოთ, რომ ის პოლიტიკური ნიშნით დააკავეს, – აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

### მიშა კაჭკაჭიშვილი: „განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო შესაძლოა სხვებიც დააკავონ“

# ნანა კაკაბაძე: „ერთზე მეტი დოზისთვის სასჯელი უმკაცრესი უნდა იყოს!“

## „კანონის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში სარეაბილიტაციო ცენტრები იარსებებს“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, ბოლო პერიოდია საზოგადოების მხრიდან აქტიური განხილვის საგნად რჩება ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა. ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ თემის ზედმეტად პოპულარიზაცია მიდის, ნაწილი თვლის, რომ კანონი ზედმეტად მკაცრია. სად არის ოქროს შუალედი?***

– სად არის ოქროს შუალედი? კანონი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ ბევრ ქვეყანაში ლმობიერია, არ ისჯება, თუ ეს ნარკოტიკი არის ერთჯერადი მოხმარების. თუმცა, ასევე არის დემოკრატიული ქვეყნები, სადაც ეს არის დასჯადი.

***– ჩვენთან აქტიურად მიდის საუბარი კანონის ლიბერალიზაციაზე.***

– კანონის ლიბერალიზაცია ასე მარტივად არ ხდება არცერთ ქვეყანაში. ჩვენ როდესაც ევროსაბჭოს წევრი გავხდით, მაშინაც იყო ასეთი მიდგომები. უპირველეს ყოვლისა, სანამ კანონის ლიბერალიზაცია მოხდება, უნდა მოხდეს სრული აღწერა წამალზე დამოკიდებული ადამიანების რაოდენობისა, შემდგომ რა განაპირობებს მათ დამოკიდებულებას ამისადმი. ეს კვლევები უნდა იქნეს ჩატარებული, რომ გაირკვეს, ვინ რის გამოა წამალზე დამოკიდებული და უნდა შეიქმნას სპეციალური გამაჯანსაღებელი ცენტრები, რომ ამ ადამიანების გამწესება მოხდეს საჭიროებისამებრ, რომ ამით საზოგადოებას არ შეექმნას პრობლემა.

***– რას გულისხმობთ?***

– ნარკოდამოკიდებულება დასჯადია არა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი საკუთარ თავს აყენებენ ზიანს, თუმცა ბევრ ქვეყანაში ესეც დასჯადია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათი ნარკოდამოკიდებულება არ გახდეს საზოგადოების პრობლემა და საზოგადოება არ იყოს ასეთი ადამიანების მხრიდან შეწუხებული. სწორედ ამის გამო ხდება მათი იზოლირება საზოგადოებისგან. უნდა გაირკვეს, რის გამო აქვთ მათ დამოკიდებულება წამლისადმი და ამის მიხედვით უნდა მოხდეს მათი გადამისამართება.

***– საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ ეს არის ავადმყოფობა. ასეა?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ავადმყოფობა, უფრო ზუსტად, ავადმყოფობის თავისებური ფორმა. ადამიანს ესა თუ ის დაავადება მისდა უნებურად ემართება, ხოლო ეს არის დაავადება, რომელსაც შენ თვითონ ირჩევ და ირგებ შენს ტანზე, ამ შემთხვევაში თან მოითხოვ საზოგადოების თანადგომასა და თანაგრძნობას. ფორმა მაინც შეარჩიე ამ მოთხოვნების დროს. ეს არის ავადმყოფობა, რომელიც თავად შენ აირჩიე! მე რატომ მელაპარაკები ასეთი გონორით?!

***– მათ აგრესიულ გამოსვლებსა და ქმედებებს გულისხმობთ?***

– თუნდაც ის ავიღოთ, რაც მოხდა საქალაქო სასამართლოში პროცესის შემდეგ. ქართველმა საზოგადოებამ, 9 აპრილიდან დაწყებული, რა არ გადაიტანა, როგორი სახის აქციები არ ტარდებოდა საქართველოში. 200 ათასი ადამიანი გამოდიოდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ და მართლა ფოთოლი არ ჩამოვარდნილა ქვეყანაში, არაფერი დაზიანებულა. სასამართლოს გადაწყვეტილებებიც გვახსოვს, როგორი გამოდიოდა... თუმცა საზოგადოებას ასეთი რეაქცია არასოდეს ჰქონია. ქართველი საზოგადოების კულტურაში არ დევს ეს ლეწვა-ნგრევა.

***– მაშინ რა შეიცვალა?***

– სწორედ ესეც კვლევის საგანია, რომ ეს ქმედება ამ ადამიანებმა ჩაიდინეს, რადგან ისინი არიან წამალდამოკიდებული ადამიანები და ასეთი არაადეკვატური რეაქცია ამიტომ ხომ არ მოჰყვა?! მითხარით ერთი, რა შუაშია პენსიონერი და ბიუჯეტი, რომელმაც უნდა აანაზღაუროს ის დაზიანებული და ჩვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილით მოხდეს ამის შეკეთება.

მათ ვანდალური აქტი ჩაიდინეს და ისინი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლები არიან! ამის გამართლება იმით, რომ სასამართლომ გამოიტანა ცუდი გადაწყვეტილება, ყოვლად დაუშვებელია! მეორე მხარეა ის, რომ სასამართლოს სხვა ალტერნატივა არ ჰქონდა, რადგან კანონია ასეთი.

***– სწორედ ამაზეა საუბარი, რომ კანონია მკაცრი.***

– ეს გასაგებია, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ საბრძოლველად არსებობს ცივილიზებული ფორმები. სასამართლოს ლეწვა და ნგრევა?! მათ რიგებში თუ არა, საღად მოაზროვნე საზოგადოების რიგებში ხომ მაინც არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ შეაფასონ, სხვა რა ალტერნატივა ჰქონდა სასამართლოს ამ შემთხვევაში?! რა უნდა ექნა მოსამართლეს, გაემართლებინა, როცა კანონი ამის საშუალებას არ აძლევდა და მტკიცებულებები ედო წინ?!

არ შეიძლება, ხალხო, ასეთი გაბრუებული და ეგზალტირებული მასის გაფეტიშება! მერე გამოდიან და გვესაუბრებიან ადამიანის უფლებებზე, ამათ ღირებულებებზე. ესენი ადამიანის უფლებებს კი არ იცავენ, ესენი იცავენ თავიანთი თავის უფლებას.

***– რასთან დაკავშირებით?***

– რომ მოიხმარონ ნარკოტიკები! მათი ქმედებები რამდენად აზიანებს საზოგადოებასა და საზოგადოების ინტერესს, ეს კიდევ ცალკე კვლევის საგანია, რათა ეს ყველაფერი საზოგადოებას ასე ვანდალურად არ შემოუბრუნდეს და არ გახდეს საზოგადოებისთვის სერიოზული პრობლემა. საზოგადოება უნდა იყოს დაცული მსგავსი ქმედებებისგან.

***– რისგან უნდა იყოს დაცული საზოგადოება?***

– ნარკოტიკებით გაბრუებული ადამიანი, შესაძლოა, საჭეს მართავდეს ან ოპერაციას ატარებდეს, შეიძლება ქუჩაში მიდიოდეს და ვიღაცას მიაყენოს ასეთივე ვანდალური ქმედება. ამიტომ საზოგადოება უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, დაცული ასეთი ადამიანების ქმედებებისგან. პარალელურად, ვინაიდან ეს ადამიანები დაავადებული არიან, სახელმწიფო მათ მიმართ უნდა იყოს ჰუმანური.

***– ისინიც სწორედ ამას ითხოვენ აქციებზე.***

– მოთხოვნასაც აქვს თავისი ფორმა. შენ როდესაც გამოხატვის თავისუფლებისთვის გამოდიხარ ქუჩაში, ეს სხვაა, რისთვისაც ეგენი გამოდიან ქუჩაში, ეგ საერთოდ ახლოსაც არ არის იმ უფლებასთან, რომელსაც ჩვენ ღირებულებით უფლებებს ვეძახით. დღეს ხდება ამის გაიგივება ისეთ ფუნდამენტურ უფლებასთან, როგორიც არის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და ასე შემდეგ.

***– ამ უფლებების აღრევა ხდება?***

– ასეა. ხშირად ჟურნალისტებიც ველარ ავლებენ ზღვარს და ველარ ხედავენ განსხვავებას ამ ორ უფლებას შორის! შენი ფუნდამენტური უფლებები სხვა ღირებულებაა, ის, რომ შენ გინდა, წამალი მოიხმარო და იყო თრობით მდგომარეობაში წამლის ზეგავლენით, არის დამცრობა, უპირველეს ყოვლისა, იმ ზეღირებულებებისა, რომლებიც საზოგადოებას გააჩნია!

***– საჭიროა თუ არა კანონის ლიბერალიზაცია?***

– კანონის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში იარსებებს სარეაბილიტაციო ცენტრები, სახელმწიფოს ეცოდინება, რამდენი წამალდამოკიდებული მოქალაქე ჰყავს, რა კატეგორიის და როგორ მოხდება მათი გადანაწილება ამ დაწესებულებებში. ამის გარეშე ლიბერალიზაცია ყოვლად დაუშვებელია.

ეს ადამიანები არ უნდა გახდნენ საზოგადოების პრობლემა და არ მოხდეს ის, რაც უკვე მოხდა – ჩამტვრეული და დარბეული სასამართლო. ხვალ შეიძლება სხვა დაწესებულებები ჩაამსხვრიონ, მიადგნენ კერძო საკუთრებებს, მაღაზიებს, სკოლებს და ასე შემდეგ. ეს რომ არ მივიღოთ შედეგად, ამისთვის სახელმწიფომ ცალმხრივად კი არ უნდა იმოქმედოს, ჯანსაღი და ჯანმრთელი საზოგადოების ინტერესები უნდა დააყენოს უფრო მაღლა და ვიცოდეთ, არის თუ არა ეს საზოგადოება დაცული და შემდეგ გადაიდგას ნაბიჯი ლიბერალიზაციისკენ.

***– თუ იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ დღეს კანონი ამ ადამიანების მიმართ უმკაცრესია?***

– რა თქმა უნდა, მეც ვთვლი, რომ კანონი მკაცრია. ამ შემთხვევაში მე საერთოდ ციხის წინააღმდეგი ვარ და ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს სხვა ალტერნატივა, ვიდრე არის ციხე. ციხე არ არის ერთადერთი გამოსავალი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების დანარჩენი ნაწილი მათგან იყოს შევიწროებული. მხოლოდ ერთი დოზისთვის არ უნდა აპატიმრებდნენ, რომელიც მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აქვს, ხოლო თუ ერთზე მეტი აქვს, სასჯელი უნდა იყოს უმკაცრესი!

# „კარფურში“ დამზადებული ქათმის სენდვიჩით 16 ადამიანი მოიწამლა

– მოქალაქეების ნაწილი, რომელმაც „თბილისი მოლში“ მდებარე „კარფურში“ დამზადებული ქათმის სენდვიჩი მიიღო, ინფექციური პათოლოგიის ცენტრში მკურნალობს, ნაწილი კი ბინაზე უკვე გაეწერა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენელმა, საკვების მიერ დაავადებათა სამმართველოს უფროსმა ლევან ბაიდოშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, 21 იანვარს ქათმის სენდვიჩის მიღების შემდეგ უკუჩვენებები, საერთო ჯამში, 16 ადამიანს დაუფიქსირდა. დაახლოებით, 8-10-საათიან პერიოდში გამოვლინდა პირველი პაციენტი, რომელმაც სამედიცინო დაწესებულებას დახმარებისთვის მიმართა, სხვები კი საავადმყოფოში 22 იანვარს მივიდნენ.

– როგორც პაციენტები აღნიშნავენ, მიმდინარე წლის 21 იანვარს, დაახლოებით 17:00 საათიდან 21:00 საათამდე პერიოდში, საკვებად მიიღეს ქათმის სენდვიჩი – საუბარია „კარფურში“ დამზადებულ ქათმის სენდვიჩზე. უკვე 22 იანვარს კი ექვსი მათგანი მსუბუქი ღებინებითა და სხვა მსუბუქი გვერდითი მოვლენებით ბოჭორიშვილის სახელობის კლინიკაში მოთავსდა. 23 და 24 იანვარს, დღის მეორე ნახევარში, უკვე ინფექციური პათოლოგიის ცენტრში შევიდა კიდევ ექვსი პაციენტი, რომელთა გამოკითხვითაც იგივე ინფორმაცია იქნა მიღებული. თბილისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსშია, აქტიურად მუშაობენ. პაციენტების გამოკითხვით კიდევ გამოვლინდა ოთხი პიროვნება, რომლებსაც ჰქონდათ ერთჯერადი ღებინება, გულისრევის შეგრძნება, თუმცა მათ სამედიცინო დაწესებულებისთვის მსუბუქი მოვლენებიდან გამომდინარე არ მიუმართავთ. საერთო ჯამში კი, ასეთი 16 ადამიანი არის გამოვლენილი, რომლებიც ფაქტობრივად, ერთსა და იგივეს ამბობს – ყველა მათგანს ჰქონდა ერთი და იგივე სიმპტომები, ანუ გულისრევის და ფაღარათის მოვლენები. ძალიან კარგია, რომ ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს და პროფესიონალებს მიაკითხეს შესაბამისი დახმარების მიღებისთვის, – განაცხადა ბაიდოშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „თბილისი მოლში“, „კარფურში“ არსებულ სენდვიჩების განყოფილებას საწარმოო პროცესი შეუჩერა.

მისივე ინფორმაციით, სენდვიჩების შედეგად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები მძიმე და საგანგაშო არ არის.

– ძალიან მსუბუქად მიმდინარე დაავადების შემთხვევები იყო, იმიტომ, რომ ის პირველი ექვსი პიროვნება, რომელიც 22 იანვარს მოთავსდნენ საავადმყოფოში, ფაქტობრივად, ორ საათში ჩაუტარდათ სამედიცინო დახმარება, ე.წ. გადასხმები და მედიკამენტოზური დახმარება და მაქსიმუმ 3 საათში ბინაზე გაწერეს, ხოლო ის პირები, რომლებიც ამჟამად ინფექციური პათოლოგიის ცენტრში მკურნალობენ, სავარაუდოდ, ხვალ საღამომდე გაეწერებიან, იმიტომ რომ დაავადების სიმძიმე არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ხანგრძლივად დარჩნენ კლინიკაში სამკურნალოდ, – განაცხადა ბაიდოშვილმა.

ამასთან, როგორც ბაიდოშვილი ამბობს, „კარფურში“, სადაც ქათმის სენდვიჩები მზადდება, ობიექტის შემოწმების მიზეზი მოწამლულთაგან მიღებული ინფორმაცია გახდა.

– „კარფურში“ შემოწმები მიზეზი გახდა პაციენტებისგან მიღებული ინფორმაცია. რა ინფორმაციაც პაციენტებმა მოგვაწოდეს, ის კანონმდებლობისა და ნორმების დაცვით გადავეცით




სურსათის ეროვნულ სააგენტოს. როგორც სააგენტოს პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, გუშინ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა მონიტორინგი და ობიექტს, სადაც ქათმის სენდვიჩები მზადდება, ფუნქციონირება შეუჩერდა გარკვეული დარღვევები გამო... ვერაფერს გეტყვით იმაზე, თუ რა შეიძლება მოწამვლის მიზეზი გამხდარიყო, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ნაწლავური ინფექციების გამომწვევი ბევრი ფაქტორი შეიძლება იყოს, მათ შორის, დაუბანელი ხელებით საკვების მიღება, საკვების დამზადების პროცესში გარკვეული ტექნოლოგიური დარღვევის პროცესი. ასე რომ, ამ საკითხზე, რაც საკვებსა და მისი დამზადების ტექნოლოგიის პროცედურას ეხება, დეტალურ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო მოგაწვდით, ვინაიდან ეს მათი პრეროგატივაა, – განაცხადა ბაიდოშვილმა.

# მედიკამენტებზე ქართული ანოტაციის დართვა შესაძლოა სავალდებულო გახდეს

ყველა მედიკამენტზე ქართული ანოტაციის დართვა შესაძლოა სავალდებულო გახდეს. აღნიშნულს ითვალისწინებს საკრებულოს ყოფილი დეპუტატის, თედო კობახიძის საკანონმდებლო წინადადება, რომელიც დღეს ჯანდაცვის კომიტეტმა განიხილა.



კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადების კანონპროექტად ქცევას მხარი დაუჭირა. თუმცა, კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე გამოითქვა ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებები, რის გამოც კანონპროექტად დარეგისტრირებამდე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შესაძლო რისკებს შეაფასებს.

– დღევანდელი რეგულაციით, მოთხოვნის შემთხვევაში აფთიაქი ვალდებულია გასცეს ქართული ინსტრუქცია. ამასთან ერთად, აფთიაქში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული ანოტაცია, რომ მომხმარებელს ასეთი მოთხოვნის გაკეთების უფლება აქვს, თუმცა რამდენად ხდება ამ ნორმების დაცვა, ეს მსჯელობის საგანია. ერთ-ერთი არგუმენტი კანონპროექტის მოწინააღმდეგეების იყო, რომ უმჯობესია არსებული რეგულაციები გამკაცრდეს, ვიდრე ახალი კანონი მივიღოთ. თუმცა არ იყო დამაჯერებელი წინადადებები არც კანონპროექტის მომხრეებისგან, რომ ეს ნამდვილად ცალმხრივად დადებითი მოვლენა იქნება...

ასევე გამოითქვა მოსაზრებები, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქართული ანოტაციის წარმოდგენის ვალდებულება ექნებათ მხოლოდ აფთიაქების მფლობელ კომპანიებს, გაეზრდებათ ხარჯები. არის მეორე მხარეც, რომ ჩვენ, ადამიანებს მათ მშობლიურ ენაზე უნდა მივაწოდოთ ინსტრუქცია. ხშირ შემთხვევაში აფთიაქებში არ არის გამოკრული, რომ ქართული ინსტრუქცია არსებობს და მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ის. გამოიკვეთა, რომ საკითხი შესასწავლია. არის სხვადასხვა მოსაზრებები. შეიქმნება ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად სამუშაო ჯგუფი და საჭირო იქნება დასაბუთებული არგუმენტები ამ საკითხთან მიმართებით, – განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ.

# „აზერბაიჯანი დავით გარეჯისა და ერისიმედის გადაცემას ითხოვს“

## „ოფიციალურმა ბაქომ თავისი პოზიცია პოლიტოლოგ სადიხოვს გააჟღერებინა“

შორენა მარსაგიშვილი

რა პასუხი უნდა მოითხოვოს საქართველოს საგარეო უწყებამ აზერბაიჯანელი კოლეგებისგან, რა ხდება საინგილოსა და ქვემო ქართლში, რის სანაცვლოდ ითხოვენ აზერბაიჯანელები ქართული მიწების გადაცემას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– საქართველო-აზერბაიჯანს შორის ბევრი პრობლემური საკითხი დაგროვდა. ეს არის დაუდგენელი საზღვრები, საინგილო და დავით გარეჯი... ოფიციალური თბილისი და ბაქო ცდილობენ, ამ თემებზე მაქსიმალურად დელიკატური განცხადებები გააკეთონ.

ოფიციალური ბაქო არასდროს საუბრობს სახელმწიფო საზღვრის სადავო მონაკვეთებზე, მაგრამ მათ სათქმელს სხვები ამბობენ. 25 იანვარს გამოცემაში „ეხო“ გამოქვეყნდა ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორის, პოლიტოლოგ ფიკრეტ სადიხოვის ინტერვიუ.

ამ ინტერვიუში სადიხოვი საზღვრების თემაზე საუბრობს. მისი თქმით, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი უკვე შეთანხმებულია. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის დემარკაციის პროცესი შეჩერებულია. არადა, საზღვრის 180 კილომეტრია შეუთანხმებელი.

გადაულახავ პრობლემად იქცა თბილისთან ახლოს მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. აზერბაიჯანელები თვლიან, რომ დავით გარეჯი ალბანური ძეგლია. პოლიტოლოგი სადიხოვი მიიჩნევს, რომ ეს კომპლექსი მთლიანად აზერბაიჯანს უნდა დარჩეს.



2012 წლის 6 მაისს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ამ სამონასტრო კომპლექსის ნაწილი დაიკავეს. აქ მთავარი ის არის, რომ მათ კონტროლქვეშ მოექცა ამ ტერიტორიაზე მდებარე სიმაღლე, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია – მთელ პერიმეტრს აკონტროლებს.

***– რაში დასჭირდათ ამ სიმაღლის დაკავება?***

– ვერ გეტყვით, იმედია, ომის დაწყებას არ აპირებენ. ფაქტია, რომ ისინი სტრატეგიულ სიმაღლეებს აკონტროლებენ. დაიკავეს თუ არა ეს ტერიტორია, სამონასტრო კომპლექსში ქართველი მომლოცველების დაშვება აკრძალეს.

საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მოღალატური განცხადება გააკეთა. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ სადავო ტერიტორია, სადაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეები განლაგდნენ, საქართველოს არ მიეკუთვნებაო. მისივე თქმით, საბჭოთა კავშირის დროს ეს ტერიტორია აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ იყო. ეს მესაზღვრეები ისევ იქ არიან და მათი იქიდან გაყვანა ვერ ხერხდება.

აზერბაიჯანულ მხარეს ასევე პრეტენზიები აქვს სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედზე. ამ სოფელზე სადიხოვიც საუბრობს. ამ ტერიტორიაზე საქართველოსა და აზერბაიჯანს მდინარე ალაზანი ყოფს. რამდენიმე ათეული წლის წინ მდინარემ კალაპოტი შეიცვალა და საქართველოს ტერიტორიის ნაწილი იქით დარჩა.

არსებობს მოსაზრება, რომ მდინარის კალაპოტი სპეციალურად შეიცვალა. ამაზე დასკვნა გარემოს დამცველებს აქვთ დადებული. მდინარისთვის კალაპოტის შეცვლა ახლაც გრძელდება. ჩვენი მეზობლები ამ ტერიტორიის მითვისებას ცდილობენ.

მათ ასევე აქვთ პრეტენზიები ქვემო ქართლთან დაკავშირებით. ქვემო ქართლთან დაკავშირებით ადრე პრეტენზიები არ იყო, ეს ახლა დაიწყეს. აი, რას ამბობს სადიხოვი:

„საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებში დამატებით გამაღიზიანებელ ფაქტორს წარმოადგენს ქვემო ქართლის, ანუ ბორჩალოს რეგიონი, რომელიც აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივ აზერბაიჯანულ დასახლებულ პუნქტებს სახელებს ქართული მანერით უცვლის, სასკოლო განათლებას ქართულ ენაზე ახორციელებს, არის მიწისა და საკადრო პრობლემებიც. ეს ყველაფერი ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს“.

„ეხოსთან“ საუბარში სადიხოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისი და ბაქო აქტიურად თანამშრომლობენ ენერგეტიკულ საკითხებში. ვციტირებ მის ნათქვამს: „ქართულმა მხარემ ამ სიტუაციაში, თუ მას აზერბაიჯანთან მჭიდრო ურთიერთობების გაგრძელება სურს (ქართველი ხალხის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით), საზღვრის დელიმიტაციის საკითხს უფრო ფართოდ უნდა შეხედოს. ვთვლი, რომ დელიმიტაციის დროს რომელიმე უბანზე ჩაციკვლა არ შეიძლება, საქართველო აზერბაიჯანთან კომპრომისზე უნდა წავიდეს, თბილისს შეუძლია, რაღაც დათმოს. ჩვენს ქვეყნებს ხომ ერთმანეთთან ნაყოფიერი, მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ... შესაბამისად, არ უნდა დავუშვათ, რომ რომელიმე საკითხის მოუგვარებლობამ კონფლიქტამდე მიგვიყვანოს. განა უკეთესი არ არის, ერთად გავუმკლავდეთ იმ საერთო საფრთხეებსა და მუქარებს, იმ რისკებს, რომლებიც რეგიონის წინაშე დგას? სწორედ ამიტომ ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუგოთ, ერთად უნდა გადავლახოთ სირთულეები და მოვაგვაროთ პრობლემები“.

სადიხოვი ტერიტორიების დათმობისკენ მოგვიწოდებს. ჩათვალეთ, რომ ეს არის აზერბაიჯანული ოფიციოზის პოზიცია.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს? ოფიციალური ბაქო ამას ოფიციალურად ვერ გააჟღერებდა?***

– როგორ ვერ გააჟღერებდა. მე თავში გითხარით, რომ ბაქო და თბილისი პრობლემებზე დელიკატურად საუბრობენ. ახლა იმასაც მოგახსენებთ, თუ რატომ ვთვლი სადიხოვის განცხადებას ოფიციალური ბაქოს პოზიციად. აზერბაიჯანში მედიას ხელისუფლება სრულად აკონტროლებს. იქ თავისუფალი პრესა არ არსებობს. იქაური მედია მხოლოდ იმაზე საუბრობს, რაც მათ ხელისუფლებას აწყობს. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადიხოვმა ოფიციალური ბაქოს პოზიცია გააჟღერა.



**ნიკოლოზ მჟავანაძე: „აგვიხსნან მოღალატე არასამთავრობოებმა, რატომ არ აპროტესტებენ ამას“**

არც იქაური პოლიტოლოგები თუ პროფესორები აკეთებენ განცხადებებს ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ოფიციალური ბაქო მათი ენით გვესაუბრება. ხელისუფლების წარმომადგენლები მეგობრობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრობენ.

ახლა მათ სადიხოვის პირით სადავო ტერიტორიების დათმობისკენ მოგვიწოდეს. როდემდე უნდა დავუთმოთ ამ აზერბაიჯანს? ისედაც ბევრი რამე დავთმეთ მათ სასარგებლოდ.

წლების წინ ალიევს წინ დაუდეს საქართველოს რუკა და აჩვენეს, რამდენი მეჩეთი აშენდა ბოლო წლებში ქვემო ქართლში. პრეზიდენტი ალიევი გადაირია – ამდენი მეჩეთი მთელ აზერბაიჯანში არ არისო.

მართლა ასეა, ქვემო ქართლში მეჩეთი მეჩეთზე შენდება, სამაგიეროდ, ქართველების უფლებები ირღვევა. არაერთხელ ჰქონდა ადგილი მართლმადიდებელი ეკლესიების შეურაცხყოფას. ამ ფაქტებს საქართველოს ხელისუფლება რატომღაც გვერდს უვლის. ხმას არც არასამთავრობოები იღებენ.

მე ვიცნობ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც აზერბაიჯანულ სექტორზე სწავლობენ. მათ მითხრეს, ლექტორები გვეუბნებიან, ქვემო ქართლი აზერბაიჯანისააო. ამაზე დიდი ღალატი რა გინდათ. ახალგაზრდებს შთააგონებენ, რომ ეს რეგიონი საქართველოს არ ეკუთვნის.

***– სტუდენტებმა ამ ლექტორების ვინაობა დაგისახელეს?***

– დამისახელეს, მაგრამ თქვენ ვერ გეტყვით მათ გვარებს. მე ხელთ არ მაქვს იმის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი, რომ ისინი ქვემო ქართლს აზერბაიჯანის ნაწილად თვლიან.

ამ დროს საინგილოში, ჩვენს მიწაზე, ჩვენი ქართველები არათუ ქართულ განათლებას ვერ იღებენ, მათ ქართულად ლაპარაკსაც კი უშლიან. ქართული ენის სწავლება ოფიციალურად შეჩერებულია, დახურულია ქართული სკოლები.

საქართველოში მცხოვრებ ქართველებს ქართული გვარების ტარების უფლებაც არა აქვთ. ეკლესიები მხოლოდ გიორგობაზე იხსნება და მაშინაც ვერ ახერხებენ ინგილოები იქ სალოცავად წასვლას.

როგორც მე იქაურები მეუბნებიან, აზერბაიჯანის ხელისუფლება მათ დიდ ფულს სთავაზობს, რომ საინგილოდან წავიდნენ. ამ რეგიონში აქტიურად მიდის აზერბაიჯანელების ჩასახლება. ცდილობენ, ყოველგვარი ქართული კვალი წაშალონ.

ყველამ იცის ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ, ის არის ქართული ეკლესია. ახლა ამ ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დგას ტრაფარეტი, რომელზეც წერია, რომ ეს ტაძარი ალბანური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

საინგილოში მცხოვრებ ქართველებს ჯანდაცვის კუთხითაც სერიოზული პრობლემები აქვთ. აზერბაიჯანში სამედიცინო მომსახურება საკმაოდ ძვირია. ინგილოებს უნდათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდნენ სამკურნალოდ, მაგრამ ამის უფლებას არ აძლევენ.

***– რა უფლებით უშლიან მკურნალობას?***

– ეუბნებიან, რომ თუ სამკურნალოდ თბილისში წავლენ, მათ პრობლემები შეექმნებათ.

***– ამას ვინ ეუბნება?***

– აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები.

***– საქართველოს ხელისუფლებამ იცის ამის შესახებ?***

– ალბათ იცის, მაგრამ ხმას არ იღებენ. არ უნდათ ბაქოსთან ურთიერთობის გაფუჭება. ბაირამობას საქართველოს პრემიერი ქვემო ქართლში ჩავიდა და აზერბაიჯანელებს ეს დღესასწაული აზერბაიჯანულად მიულოცა. ეს ძალიან კარგი საქციელი იყო, მაგრამ გსმენიათ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების რომელიმე პირი ჩასულიყო საინგილოში და ქართველებისთვის რომელიმე რელიგიური დღესასწაული მიელოცა? ასეთი რამე არასდროს მომხდარა.

მილოცვა კი არა, ქართველებს ქართულ ტაძრებს წელიწადში ორჯერ ულებენ მხოლოდ. სამაგიეროდ, ამ ტაძრებში გასართობ გადაცემებს წერენ. ამაზე ხმას არავინ იღებს. მათ შორის არც ეს მოღალატე არასამთავრობოები. აბა წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა, რომელიმე ტელევიზიას საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მეჩეთში გასართობი გადაცემა რომ ჩაეწერა. მთელ მსოფლიოს მოსდებდნენ, საქართველოში მუსლიმების უფლებები ირღვევაო.

საინგილოში რა ხდება, არავის აინტერესებს. არ აინტერესებთ, რომ ჰერეთში ქართველების რაოდენობა სულ უფრო მცირდება. ანალოგიური ვითარებაა ქვემო ქართლშიც.

სადიხოვის განცხადებებიდან გამომდინარე, ახლა ოფიციალური ბაქო უკვე სადავო ტერიტორიების დათმობას გვთხოვს. დამიჯერეთ, დავით გარეჯის და ერისიმედის დათმობა აზერბაიჯანული გაზის მიღების სანაცვლოდ არ უნდა მოხდეს.

***– ტერიტორიების დათმობა არ უნდა მოხდეს, მაგრამ გაზიც საჭიროა.***

– მერე მივიღოთ რუსული გაზი. იმ მოღალატე ქართველებს მინდა მივმართო, რომლებიც გაზპრომის გაზზე მხოლოდ იმიტომ ამბობენ უარს, რომ რუსეთი ოკუპანტია.

***– არის ეს რუსეთი ოკუპანტი და რატომ არ უნდა თქვან?***

– მაშინ აზერბაიჯანსაც აქვს ქართული მიწები ოკუპირებული, თუ საინგილო საქართველო არ არის? მაშინ აზერბაიჯანულ გაზზეც უარი ვთქვათ. საქართველოს ხელისუფლებას რომ მოენდომებინა, აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვარი უკვე დადგენილი იქნებოდა.

რამდენიმე წლის წინ სასაზღვრო ჯარების ყოფილ სარდალ ვალერი ჩხეიძეს ვესაუბრე. ის შევარდნაძის დროს ხელმძღვანელობდა ამ უწყებას და საზღვრების დადგენის მიმართულებით ბევრი შრომა გასწია.

მისი თქმით, შევარდნაძეს ჰეიდარ ალიევთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჩხეიძეს შევარდნაძისთვის არაერთხელ უთხოვია, აზერბაიჯანის პრეზიდენტს სადავო ტერიტორიებზე დალაპარაკებოდა. ჩხეიძე ამბობდა, რომ ალიევი წავიდოდა დათმობაზე, მაგრამ შევარდნაძემ არ მოისურვა.

ეს არც სააკაშვილმა გააკეთა და ამ მიმართულებით მოქმედი ხელისუფლებაც არაფერს აკეთებს. სამაგიეროდ, აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები ახმოვანებენ ოფიციალური ბაქოს პოზიციას – დავით გარეჯსა და ერისიმედს ითხოვენ.

მინდა მივმართო საქართველოს საგარეო უწყებას, რომ სასწრაფოდ გამოეხმაურონ სადიხოვის განცხადებას. თავისი პოზიცია დააფიქსიროს კულტურის სამინისტრომაც. არც ის იქნება ცუდი, თუ ჩვენი ისტორიკოსებიც გამოილვიძებენ. ხმა თუ არ ამოვიღეთ, შეიძლება, თბილისიც დავკარგოთ.

# ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი შენობა შესაძლოა აღარ აშენდეს

პირველი ვიცეპრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებულ შენობებში განთავსდება გაერთიანებული სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი შენობა აღარ აშენდება.

როგორც ქუმსიშვილმა აუდიტის დასკვნის კომენტირებისას განაცხადა, ახალი შენობისთვის მიწა უკვე მოძებნილია, პროექტი გაკეთებული, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.



– ეკონომიკის სამინისტროს შენობასთან დაკავშირებით გახსოვთ, რომ სამინისტროს ყოფილი შენობა გაიყიდა აუქციონზე. საკმაოდ აქტიური აუქციონი იყო, 6 მლნ 300 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტიდან დაიწყო და საბოლოო ჯამში 9 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტში გაიყიდა. ეს თანხა ბიუჯეტში შემოსულია. ამის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო უნდა გადასულიყო გარკვეულ შენობაში. მოიძებნა შენობა, რომელიც დაკონტრაქტდა და, შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტრომ გააგრძელა ამ შენობაში ფუნქციონირება. თქვენ იცით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ 2016 წელს მივიღეთ გადაწყვეტილება ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი შენობის აშენების შესახებ, მიწა არის მოძებნილი და პროექტი არის გაკეთებული. ჩვენ განვიხილავთ, ალბათ ამ კვირაში დავასრულებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას, ვახერხებთ თუ არა ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებულ შენობებში განვათავსოთ გაერთიანებული სამინისტრო. იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ისე, რომ ვერ ვათავსებთ, უკვე მშენებლობა აქტიურად დაიწყება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ განვათავსებთ, ამ შემთხვევაში სამინისტროს ახალი შენობა არ აშენდება, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

## მამუკა ბახტაძე: ინვესტორთა მხრიდან საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ინტერესია



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ქართული დელეგაციის მიერ გამართული შეხვედრების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

– საქართველოს მიმართ არის განსაკუთრებული ინტერესი. მეტიც, არის მოწოდებები იმის შესახებ, რომ ჩვენს პარტნიორებს გავუზიაროთ გამოცდილება იმ რეფორმების შესახებ, რომელიც დავნერგეთ. ჩვენ მნიშვნელოვანი გზავნილები მივიღეთ მსხვილი კორპორაციებიდან ისეთი სფეროების განვითარების თვალსაზრისით, როგორიცაა ტურიზმი, ენერგეტიკა, გადამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. რამდენიმე კომპანიამ დააფიქსირა პოზიცია, რომ წლის მეორე ნახევრიდან, ისინი დაიწყებენ აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

## 2017 წელს ქართველებმა უცხოეთში საბანკო ბარათებით 1,3 მლრდ ლარი დახარჯეს



საქართველოს მოქალაქეებმა 2017 წელს საზღვარგარეთ საბანკო ბარათებით 1, 334 მლრდ ლარი დახარჯეს, რაც წინა წელთან შედარებით 38,7%-ით მეტია.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-დეკემბერში რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ დახარჯული თანხის მოცულობამ 961, 7 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება კონკრეტულად 2017 წლის დეკემბერს, ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ, საბანკო ბარათებით ჩვენი ქვეყნიდან ვიზიტორებმა 116, 4 მლნ ლარი დახარჯეს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 58,3%-ით მეტია. 2016 წლის დეკემბერში საქართველოს მოქალაქეებმა საზღვარგარეთ პლასტიკური ბარათებიდან 73, 5 მლნ ლარი გადაიხადეს.

ამასთან, დეკემბერში რეზიდენტი ბანკების ბარათებით, ბანკომატით 29, 6 მლნ ლარის ეკვივალენტია განაღდებული, პოს ტერმინალებით, იმპრინტერით და ინტერნეტით 86, 7 მლნ ლარის ოპერაციაა შესრულებული.

## პეკინის ქუჩაზე უძრავი ქონების ფასი შემცირდა



პეკინის ქუჩაზე უძრავი ქონების ფასი შემცირდა, იქ განთავსებული მაღაზიების მფლობელები კი რეალიზაციის შემცირებას უჩივიან.

პეკინის გამზირზე კომერციული უძრავი ქონების იჯარის ფასი 2017 წელს წინა წელთან შედარებით 9%-ით, ხოლო ფართების ვაკანტურობა 7%-ით შემცირდა. სტატისტიკას COLLIERS INTERNATIONAL GEORGIA ავრცელებს.

– პეკინის ქუჩა კვლავ რჩება თბილისში ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო ქუჩად, თუმცა, პეკინი ნაკლებად მომხიბვლელი გახდა მომხმარებლისთვის მას შემდეგ, რაც სავაჭრო ცენტრებში შოპინგისა და გართობის კულტურა ჩამოყალიბდა და მომხმარებელთა ნაკადმა იქ გადაინაცვლა. თბილისის სავაჭრო ცენტრები მომხმარებელს შოპინგის გარდა მრავალფეროვან გასართობ და საკვებ ობიექტებს სთავაზობს. პეკინზე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად მისულ მომხმარებელთა ნაკადზე ახალი სავაჭრო ცენტრის – გალერეის გახსნამაც იმოქმედა. რაც შეეხება ცალმხრივ მოძრაობას, პეკინზე მომხმარებელთა ვიზიტების რაოდენობა ამ მიზეზით არ შემცირებულა. ცალმხრივმა მოძრაობამ ზოგიერთი სავაჭრო ობიექტის ტრანსპორტიდან ხილვადობა საგრძნობლად შეამცირა, – აცხადებს COLLIERS INTERNATIONAL GEORGIA-ს დირექტორი ირაკლი კილაურიძე.

პეკინის ქუჩაზე რეალიზაციის შემცირებას უჩივიან მაღაზიების მეპატრონეები.

„ქალთა ბედნიერებაში“ ამბობენ, რომ პეკინის ფილიალი ამავე ბრენდის სხვა მაღაზიებს რეალიზაციით ყოველთვის უსწრებდა, ცალმხრივი მოძრაობის ამოქმედების შემდეგ კი სხვა ფილიალებს ნავაჭრით ბევრად ჩამორჩება.

რეალიზაციას ძალიან დაეტყო მანქანების მოძრაობის წესების ცვლილება. სხვა უბნებში გაიზარდა ნავაჭრი, აქ კი უძრაობაა. მანამდე წინ მივდიოდით როგორც სხვა ფილიალებში, ახლა კი პეკინის მაღაზია დამუხრუჭდა. ყოველ წელს 25-30%-ანი მატება გვქონდა. ახლა სრული უძრაობაა. ფართის მეპატრონეს ფასის დაკლებაზე ვერც დაელაპარაკებით. თავად ტირიან და წუწუნებენ დოლარისა და ლარის კურსთა შორის სხვაობაზე. ველობილიკი ტყუილად გააკეთეს, არც ველოსიპედით დადის ვინმე და ვეღარც მანქანას აჩერებენ, – აცხადებენ ქალთა ბედნიერებაში.

რეალიზაციის შემცირებაზე საუბრობენ მაღაზიებში ბეატრისი და FIORELLA:

– მომხმარებელი ჩვენამდე ვერ მოდის. მანქანას ვერ აჩერებს და იძულებულია, გვერდი აგვიაროს. ჩვენი მომხმარებლების უმრავლესობა მანქანით მოძრაობს, ერთგული მომხმარებელიც კი გვიკავშირდება და წუხს, რომ მანქანას ვერ აჩერებს და ვერ მოდის. ვიგრძენით უარყოფითი გავლენა, – ამბობენ მეწარმეები.

## რა საბუთები დასჭირდებათ ტაქსის მძღოლებს ნებართვის ასაღებად

– პირველ ეტაპზე ტაქსის მძღოლები ნებართვის მიღებას გამარტივებული წესით შეძლებენ.




ამის შესახებ დედაქალაქის მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, თავდაპირველად ტაქსის მძღოლებს მხოლოდ ნებართვის აღება მოუწევთ.

– ტაქსი გადის M1 კატეგორიაში გადის, რაზეც რეგულაცია არ არის და ამ ცვლილებებით ნებართვის ქვეშ მოექცევა. ამ მიმართულებით, შემოსავლების მიღებაზე არ ვართ ორიენტირებული. პირველ ეტაპზე სავალდებულო იქნება ნებართვის აღება, რასაც მძღოლები გამარტივებული წესით შეძლებენ. ნებართვის გამცემი იქნება მერიის ერთ-ერთი სამსახური. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტაქსის მძღოლებს ნებართვის მისაღებად მხოლოდ პირადობის მოწმობა, ავტომობილის ტექპასპორტი და მართვის მოწმობა დასჭირდებათ, – აღნიშნა მუმლაძემ.

მისივე თქმით, ნებართვის გაცემის პროცესში რეგისტრაციის ადგილს მნიშვნელობა არ მიენიჭება.

## ქვეყნები, საიდან საქართველოს აეროპორტებიდან ყველაზე მეტი რეისი სრულდება

საქართველოს ავიაბაზარი თანდათან იზრდება და ვითარდება.

საჰაერო სივრცით სულ უფრო და უფრო მეტი მგზავრი სარგებლობს. ამას საქართველოს ავიაციის სტატისტიკაც ადასტურებს. საქართველოს აეროპორტებით 2016 წელს თუ 2,840,455 მგზავრმა ისარგებლა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 43 პროცენტით გაიზარდა და 4,073,959 გახდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რომელ ქვეყნებში სრულდება ყველაზე ხშირად ფრენები ქუთაისის, ბათუმის და თბილისის საერთაშორისო აეროპორტებიდან. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით:

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 2016 წელს ფრენები შესრულდა 19 მიმართულებით: გერმანია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, რუსეთი, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, თურქეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი, სომხეთი, ირანი, ყატარი, ბელორუსი, ეგვიპტე, ლატვია და ჩინეთი.



2017 წელს თბილისის აეროპორტიდან მიმართულებების რაოდენობა 25-მდე გაიზარდა და დაემატა დიდი ბრიტანეთი, ბაჰრეინი, ლიბანი, იორდანია, ქუვეითი და ჩეხეთის მიმართულებები.

რაც შეეხება 2017 წლის 5 ყველაზე მოთხოვნადი ქვეყანა თბილისის აეროპორტიდან: რუსეთი – 306700 მგზავრი, თურქეთი – 297612 მგზავრი, არაბთა გაერთიანებული საემიროები – 168710 მგზავრი, ირანი – 151706 მგზავრი, უკრაინა – 150458 მგზავრი.

ქუთაისის აეროპორტიდან 2016 წელს რეისები სრულდებოდა მხოლოდ 11 მიმართულებით: რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, პოლონეთი, ლიტვა, უნგრეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, გერმანია და იტალია.

2017 წელს რეისებს სამი ქვეყანაც დაემატა: დიდი ბრიტანეთი, იტალია და ყაზახეთი.

ქუთაისის აეროპორტიდან 5 ყველაზე მოთხოვნადი ქვეყანა იყო: გერმანია – 52661, უკრაინა – 27684, პოლონეთი – 27207, იტალია – 20515 და უნგრეთი – 17845 მგზავრი.

რაც შეეხება ბათუმის აეროპორტს, საერთაშორისო რეისებიდან 2016 წელს ბათუმიდან რეისები შემდეგ ქვეყნებში განხორციელდა: რუსეთი, თურქეთი, ისრაელი, უკრაინა, ბელორუსი, ირანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ყაზახეთი.

2017 წელს ამ მიმართულებებს კიდევ სამი დაემატა: პოლონეთი, ლიბანი და იორდანია.

რაც შეეხება ყველაზე მოთხოვნად ქვეყნებს ბათუმიდან, 2017 წელს რუსეთის მიმართულებით გაემგზავრა 62832 მგზავრი, ისრაელში – 48073, თურქეთში – 44616, უკრაინა – 24630 და ბელორუსი – 16390 მგზავრი.

# „აფბა“ ავტომაგისტრალების მშენებლობისას შესაძლო დარღვევების კვლევას იწყებს

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია აფბა“ იწყებს კვლევას, რომლის მიზანია მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გამოცხადებული ტენდერებისა და მათი პირობების ჯეროვნად შესრულების საზოგადოებრივი მონიტორინგი.**



ბოლო წლებში საქართველოს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ამ მხრივ მიმდინარე წელი უპრეცედენტოდ გამორჩეულია. ამ ფონზე სულ უფრო ხშირად ისმის წუხილი პროექტების უხარისხო და არაჯეროვან განხორციელებასთან დაკავშირებით.

ორგანიზაციის პირველადი დაკვირვებით, შესაძლოა იკვეთებოდეს ტენდერებში მონაწილე კომპანიების არაკეთილსინდისიერი ქმედებები, რაც გამოიხატება გამოცხადებულ სატენდერო კონკურსებში გამარჯვების მიზნით, პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რეალურ თანხაზე გაცილებით ნაკლების შეთავაზებით. შედეგად, ტენდერის ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, იოლი გამარჯვებით, ხოლო შემდგომ პროექტისთვის აუცილებელი საკმარისი ფინანსური სახსრების არ არსებობის გამო, მისი მნიშვნელოვანი ხარვეზებით განხორციელებით. მათ შორის, არ არის სათანადოდ დაცული გარემოზე ზემოქმედების არსებული ნორმები. აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად და სამუშაოების სრულად დასამთავრებლად კვლავ ბიუჯეტს უწევს გაუთვალისწინებელი ხარჯების გამოყოფა და პროექტები დროშიც იწელება.

„აფბა“ მიიჩნევს, რომ ეს გარემოებები ბევრი მიმართულებით წარმოშობს პრობლემას. კერძოდ, ირღვევა სამართლიანი კონკურენციის პირობები; კეთილსინდისიერად მოქმედ კომპანიებს არ ეძლევათ პროექტების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა; დაუსრულებელი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები აფერხებს საგზაო მოძრაობას და მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილების და მღელვარების საფუძველია; ბიუჯეტს, საბოლოო ჯამში, ეზრდება ხარჯები; კითხვის ნიშნები ჩნდება სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციასთან დაკავშირებით და ა.შ.

შესაბამისად, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბა“ საწყის ეტაპზე რამოდენიმე მსხვილი საგზაო-ინფრასტრუქტურული პროექტით დაინტერესდა, მათ შორისაა სამტრედია-გრიგოლეთის 18,5-კილომეტრიანი და თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული გზის პროექტები; ქობულეთის შემოვლითი გზა; ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის პროექტი და რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი გზის პროექტი (ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი).

„აფბამ“ შესაბამისი კითხვებით უკვე მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს კვლევის პირველად შედეგებს ზემოხსენებული პროექტების რეალიზებასთან დაკავშირებით, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- ტენდერების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და ღირებულებები;
- მონაწილე კომპანიები და მათი გამარჯვების პირობები;
- გზების მშენებლობისთვის მოთხოვნილი ტექნიკური და ხარისხობრივი დეტალები; ჩატარებული სამუშაოების ჩაბარების წესები და მათი დაცვის ხარისხი;
- იყო თუ არა მოთხოვნილი კომპანიების მხრიდან პროექტში რაიმე სახის ცვლილებები, რამაც პროექტი, საბოლოო ჯამში, გააძვირა;
- მშენებლობებისას გარემოზე ზემოქმედების ნორმები და მათი მონიტორინგის ხარისხი;
- პროექტის რეალიზებასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტაცია და ა.შ.

ამასთან, ორგანიზაციაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები გზის მშენებლობის პროექტის და პროექტებში შესული ცვლილებების დამტკიცების დროს. აგრეთვე მშენებლობები, თავდაპირველ პროექტებში შესული ცვლილებების შემდეგ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების, საერთაშორისო ნორმების და პროცედურების უხეში დარღვევით. შესაძლოა ასევე პროექტის ცვლილების შემდეგ დოკუმენტი აღარ გადიოდეს კანონით დადგენილ პროცედურებს, ექსპერტიზას და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. შესაძლოა, საქმე გვქონდეს უკანონო მშენებლობებთან.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში, სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციასთან დაკავშირებით და მსგავს მსხვილ და უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების მიერ გაწეული სამუშაოების ხარისხთან და ამ კომპანიების ქმედებების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობდეს.

# სუს-ში ტერორიზმის საქმეზე პანკისის კიდევ ერთი მკვიდრი დაიკითხა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ტერორიზმის საქმეზე პანკისის კიდევ ერთი მკვიდრი ასლან ქავთარაშვილი დაიკითხა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქავთარაშვილის ადვოკატმა ინგა ბოლოთაურმა განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოწმის სტატუსით დაიკითხა და სამართალდამცველების მიერ დასმულ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

მისივე ინფორმაციით, ასლან ქავთარაშვილს ახმედ ჩატაევთან ნაცნობობა არ აკავშირებდა.

„ინტერპრესნიუსი“ ქავთარაშვილის დედასაც ესაუბრა. ლია ხანგოშვილის ირწმუნება, რომ მის შვილს ჩატაევსა და მისი დაჯგუფების წევრებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებული ხიზირ (რამაზ) მარგოშვილი დაკავების დროს თბილისში სწორედ ასლან ქავთარაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

ასლან ქავთარაშვილი თბილისში სწავლობს. ის ერთ-ერთ უბანში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.

# გოგა გულორდავა: „თუ ვინმე ამბობს, რომ კონკრეტულ პირს ნარკოტიკი ჩაუდეს, ამით მისი დამკავებელი პოლიციელების უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს“

– თუ ვინმე ამბობს, რომ კონკრეტულ პიროვნებას ნარკოტიკი ჩაუდეს, ამით მისი დამკავებელი პოლიციელების უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს. ძალიან მნიშვნელოვანია, არ ვიყოთ ტენდენციურები. თუ ვინმე ამბობს, რომ კონკრეტულ პიროვნებას ნარკოტიკი ჩაუდეს, ამით, ამავდროულად, მისი დამკავებელი პოლიციელების უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს და ასეთი განცხადებების უაპელაციოდ გაკეთება, თან ისე, რომ არ იცნობდეს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, პირდაპირ ურტყამს როგორც პოლიციას, ასევე პროკურატურასა და სასამართლოს.

ამის შესახებ დეპუტატმა გოგა გულორდავამ განაცხადა.

მისი თქმით, სასამართლო ერთადერთი კომპეტენტური ორგანოა, რომელიც დღეს ყველამ იცის, რომ ნამდვილად არავინ ცდილობს მასზე ზეგავლენის მოხდენას, კონკრეტულ საქმეს რაც შეეხება, წინ კიდევ ორი ინსტანციაა.

– რაც შეეხება ნარკოტიკის რაოდენობას, როდესაც ადამიანს დაუდასტურდება 45 აბზე მეტი „სუბოტექსის“ შეძენა და შენახვა, არა მგონია, საკამათო იყოს, რომ ვერანაირი ნარკოპოლიტიკა ამას ვერ უშველის, კანონში ასეთი რაოდენობის ნარკოტიკის ფლობისთვის დაუსჯელობა ნამდვილად არ მოგვიტანს კარგს.

ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ როგორც საზოგადოებაში, ასევე პარლამენტში ნარკოპოლიტიკაზე გვაქვს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები და ჩვენ უნდა შევძლოთ ორივე პოზიციიდან ყველაზე რაციონალური, სწორი არგუმენტების ამორჩევა, პოზიციების დაახლოება და ისეთი კანონის მიღება, რომელიც ნარკომომხმარებლებს კი არ დასჯის, არამედ დაეხმარება მკურნალობაში და მეორე მხრივ მკაცრი იქნება ნარკოტიკის გამსაღებელთან მიმართებით, – განაცხადა გულორდავამ.



# პროკურორი იქნება თუ რომის პაპი, გზა უნდა დაუთმოს, თუ მას ევალება

– პირი, რომელმაც თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

როგორც თენგიზ გავაშელის ადვოკატი თამარ აბესაძე აცხადებს, აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი არ არის, რადგან ეს იყო ორ მძღოლს შორის მომხდარი ინციდენტი. თენგიზ გავაშელის თქმით, მას პირველად ქალაქის პროკურორის მოადგილემ გიორგი გაბოძემ მანქანიდან ხელი მოუქნია, რის შემდეგაც თავად თენგიზ გავაშელმაც ამავე ქმედებით უპასუხა.

– ფიზიკურ დაპირისპირებას ვერ დავარქმევ. თვითონ მანქანაში იჯდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, ჩაწეული ფანჯრიდან მომიქნია ხელი და როგორც ყველა კაცი მოიქცეოდა, მეც ხელი მოვუქნიე, – განაცხადა თენგიზ გავაშელმა.

ჟურნალისტების კითხვაზე, მოხვდა თუ არა მისი მოქნეული ხელი პროკურორის მოადგილეს, თენგიზ გავაშელი ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „მართლა ვერ გეტყვით, მანქანაში ძნელია გარედან ხელის მორტყმა“. თენგიზ გავაშელმა პროკურატურაში შესვლამდე წყნეთის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დეტალები გაიხსენა. მისი განცხადებით, ის ცოლ-შვილთან ერთად ტაქსში იჯდა, რა დროსაც წყნეთის ქუჩაზე წინიდან მომავალი პროკურორის მოადგილის მანქანას „შეეჩხა“.

– წყნეთის ქუჩაზე ორი მანქანა შევეჩხეთ. ჩვენ უკნიდანაც მოგვადგა მანქანა, ანუ ფიზიკურად



ვერ დავხევდით უკან. 5 წუთი მანქანიდან ვუხსნიდი, ცოტა გაიწიე და გაგვატარე-მეთქი. რომ არ გაიწია, მეგონა ვერ გაიგო, გადავედი მანქანიდან, რომ ახლოდან ამეხსნა. ამ დროს მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გამომიქნია მანქანიდან, მეც მოვიქნიე ხელი და ფანჯარა ასწია, – განაცხადა თენგიზ გავაშელმა. მისი თქმით, ფანჯრის აწევის შემდეგ გიორგი გაბოძემ მანქანიდან გამოსძახა, რომ ის ქალაქის პროკურორის მოადგილე იყო.

– შემდეგ ჩავჯექი მანქანაში, უკან დავიხიეთ, 100 მეტრზე მეტი ვიარეთ ქვევით. შემდეგ შეეძლო ისევ გავეტარებინეთ, გზა აძლევდა ამის საშუალებას, მაგრამ ისე გადაგვიკეტა, რომ ვერანაირად ვერ წავედით. მანქანიდან გადმოვედი და სახლში ავედი ცოლთან და შვილთან ერთად, – განაცხადა თენგიზ გავაშელმა.

ადვოკატ თამარ აბესაძის თქმით, მათ აქვთ მოწმის სტატუსი და ინფორმაცია არ აქვთ საქმის შესახებ. ასევე, ადვოკატის განცხადებით, მისთვის უცნობია ის, რომ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 126-ე მუხლით არის აღძრული.

– არ ვიცი, ვინ მოწმეები ჰყავთ დაკითხული. ვინაიდან, ჩვენ მოწმეები ვართ ამ ეტაპზე და მოწმეს სტატუსით არ აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ იცოდნენ სისხლის სამართლის საქმე მთლიანად. როგორც იურისტი, ვაანალიზებ მოცემულ სიტუაციას წესით და რიგით, ეს არის მხოლოდ ორ მძღოლს შორის მომხდარი ინციდენტი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ნამდვილად არ შეიძლება იყოს, – განაცხადა თამარ აბესაძემ.

მისივე თქმით, პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძემ უნდა გააკეთოს განმარტება და უნდა მოახსენოთ გამოძიებას, რატომ მოხდა ასეთი სახის ინციდენტი. „პროკურორი იქნება თუ რომის პაპი, გზა უნდა დაუთმოს, თუ მას ევალება“, – აცხადებს ადვოკატი.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურორის მოადგილე ნაცემია, ადვოკატი მიიჩნევს, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

– ვიცნობ, ვინც არის პროკურორი. ის ისეთი პიროვნებაა, რომ თავს არავის აცემინებს და მგონია, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მოარული აზრებია. ვფიქრობ, რომ ის ნაცემი არაა, – განაცხადა თამარ აბესაძემ.

პროკურატურაში ასევე იმყოფებოდა თენგიზ გავაშელის მეუღლე თამარ კიკნაძეც, რომელიც ინციდენტის თვითმხილველია. ჟურნალისტების კითხვაზე, ინციდენტის შემდეგ მისულ პატრულს ადგილზე დახვდნენ თუ არა თენგიზ გავაშელი და მისი მეუღლე, თამარ კიკნაძემ განაცხადა, რომ ისინი პატრულს არ დახვდნენ, რადგან სიტუაცია სწრაფად განიმუხტა.

– პატრულს არ დავხვდით, იმდენად სწრაფად განიმუხტა სიტუაცია. ჩავსხედით მანქანაში, უკან ჩავედით, მანქანიდან რომ გადმოვედით, ბავშვი ძალიან განერვიულებული იყო და იქვე ავედით სახლში დედაჩემთან, – განაცხადა თამარ კიკნაძემ.

აღნიშნული შემთხვევა 23 იანვარს წყნეთის ქუჩაზე მოხდა. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს. საქმეს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია იძიებს.

# სასტუმრო „ლეოგრანდის“ იურისტი: „უცნობია, როდის დასრულდება სასტუმროში საგამოძიებო მოქმედებები“



– სასტუმრო „ლეოგრანდში“ საგამოძიებო მოქმედებები კვლავ მიმდინარეობს.

ამის შესახებ სასტუმროს იურისტმა კახა წერეთელმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით უცნობია, როდის დასრულდება საგამოძიებო მოქმედებები.

– როგორც კი საშუალება მიეცემა ორგანიზაციას, რომ სასტუმრო და კაზინო დაიბრუნოს, შესაბამისად, მოწესრიგდება შენობა და მუშაობაც დაიწყება. ჩვენმა თანამშრომლებმა იციან, რომ ყველა თავის ადგილზე დაბრუნდება. სასტუმროში კვლავ საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. უნდა დავიცვათ სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, თუმცა, პროცედურები როდის დასრულდება, არ ვიცით, – განაცხადა კახა წერეთელმა.

ბათუმში სასტუმრო „ლეოგრანდთან“ თანამშრომლებმა აქცია გამართეს. შეკრებილები საგამოძიებო მოქმედებების დროულად დასრულებასა და სამსახურში დაბრუნებას ითხოვდნენ. მათი თქმით, საგამოძიებო მოქმედებების გამო სასტუმროს ფუნქციონირება შეწყვეტილი აქვს.

2017 წლის 25 ნოემბერს სასტუმრო „ლეოგრანდში“ ხანძრის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა. შსს გამოძიებას აწარმოებს.

# ვახტანგ გომელაური საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ახალ ხელმძღვანელს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ახალ ხელმძღვანელ როზალია პუგლისის შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესსა და აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესზე. ხაზი გაესვა გლობალური საფრთხეებისა და საერთო გამოწვევების დასაძლევად ნატო-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას. საუბარი ასევე შეეხო საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო გეგმებს.

ვახტანგ გომელაურმა როზალია პუგლისის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.



# პეკინის გამზირზე „დელფოსის“ მაღაზია გაქურდეს




პეკინის გამზირზე „დელფოსის“ მაღაზია გაქურდეს. გავრცელებული ინფორმაციით, გამვლელებმა შენიშნეს, რომ მაღაზიის კარი ღია იყო და ადგილზე სამართალდამცველები გამოიძახეს. არსებული ინფორმაციით, მაღაზიიდან ძვირფასეულობა არ არის წაღებული, თუმცა ბოროტმოქმედებმა, სავარაუდოდ, სალაროდან ფულის წაღება მოახერხეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით აღიძრა, რაც ქურდობას გულისხმობს. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ.

# თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის გამოძიებაში კიდევ ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ჩაერთვება



თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის გამოძიებაში კიდევ ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ჩაერთვება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა. მისი ინფორმაციით, მაია ნიკოლეიშვილთან და ბალისტიკურ ექსპერტთან ერთად ის პანკისის ხეობაში, სავარაუდოდ, ჩავა და პირველ სამუშაოებს სპეცოპერაციის ადგილზე ჩაატარებს.

– სავარაუდოდ, დღეს წავალთ პანკისში დამოუკიდებელ ბალისტიკურ ექსპერტთან და მაია ნიკოლეიშვილთან ერთად. ვიმუშავებთ სახლში და ადგილზე გავაკეთებთ ვიზირებას, მაგრამ კედელი (რომელიც ჩამონგრეულია) ძალიან გვიშლის ხელს. კედელი საჭიროა საერთო სურათის აღსადგენად, – განაცხადა კუბლაშვილმა.

19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი 26 დეკემბერს პანკისში სპეცოპერაციის დროს თავში დაჭრეს. მას დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში თბილისში მკურნალობდნენ, თუმცა, ექიმების მცდელობის მიუხედავად, მაჩალიკაშვილი 10 იანვარს გარდაიცვალა.

# მიულერის ხელქვეითებმა ამერიკის დაზვერვის შეფი დაკითხეს

აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის გამო გამოძიება გრძელდება. სპეცპროკურორ მიულერის ხელქვეითებმა ამჯერად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორ მაიკ პომპეოს მიაკითხეს.

საუბრისას გამომძიებლებმა ყურადღება ორ ფაქტორზე გაამახვილეს: მოახდინა თუ არა პრეზიდენტმა ტრამპმა ზეწოლა გფბ-ს ექსდირექტორ კომიზე და რა ინფორმაცია გააჩნია ამერიკის დაზვერვას არჩევნებში რუსების ჩარევის შესახებ.

საუბარმა ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა. პომპეომ დაადასტურა, რომ რუსების მოქმედება მრავალმხრივი იყო, კიბერშეტევებით დაწყებული და პროპაგანდისტული ოპერაციებით დამთავრებული.



თავად რუსების ჩარევის ფაქტი ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება რუსების მიზანს, ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთები თვლიან, რომ კრემლის მიზანი ჰილარი კლინტონის დაბლოკვა და ტრამპის გაპრეზიდენტება იყო, მეორენი ამას არ ეთანხმებიან და ამტკიცებენ, რომ პუტინი აშშ-ის საზოგადოების დაყოფას ესწრაფოდა, როცა ამერიკელთა ნაწილი ტრამპს მიემხრობა, ნაწილი – არა. შედეგად ამერიკელი საზოგადოება დასუსტდებოდა.

– რუსების მიზანია აშშ-სთან გავლენის სფეროების გადანაწილებაზე შეთანხმება, ანუ ახალი იალტა. ბუნებრივია, 21-ე საუკუნეში დემოკრატიულ სახელმწიფოს ამაზე წასვლა არ სურს. პუტინი მანიპულაციებით ცდილობს, თავისი ნება მოგვახვიოს თავს, – ამბობს ამერიკელი სენატორი შუმერი.

პომპეოსთან საუბრის მეორე ნაწილი გფბ-ს ექსდირექტორ ჯეიმს კომის შეეხებოდა. მიულერის ხელქვეითებმა ამის გარშემო პომპეო საფუძვლიანად დაკითხეს. საუბრის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის გამო ატეხილმა აჟიოტაჟმა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. ტრამპის გუნდის წარმომადგენლებს (ფლინი, მანაფორტი) საკმაო პრობლემები შეექმნათ.

საზოგადოებაში ანტირუსული განწყობილებები გაძლიერდა. ამან რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებზე გავლენა უკვე მოახდინა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა თქვა, რომ აშშ-სთან ასეთი დაძაბული ურთიერთობები ჯერ არ ჰქონიათ. ამერიკელი საზოგადოება რუსეთის განეიტრალებას მოითხოვს. ეს მდგომარეობა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებზე მომავალშიც დიდ გავლენას მოახდენს.

სპეცპროკურორი მიულერი კი გამოძიებას განაგრძობს. მან უშუალოდ პრეზიდენტ ტრამპის დაკითხვის სურვილი გამოთქვა.

ტრამპი ამას დათანხმდა.

– მზად ვარ, ბატონი მიულერის შეკითხვებს ვუპასუხო, თუმცა ის, რაც ხდება, უფრო კუდიანებზე ნადირობას მაგონებს, – განაცხადა პრეზიდენტმა.



# ირანმა რუსეთს ანტიამერიკული ალიანსის შექმნა შესთავაზა

ირანის პრეზიდენტის მრჩეველმა, გენერალმა სავარიმ, რუსეთს ანტიამერიკული ალიანსის შექმნა შესთავაზა. მასში უნდა გაერთიანდნენ რუსეთი, ირანი და სირია. პერსპექტივაში ამ კავშირს შეუერთდებიან სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელორუსი.

– დროა, ამერიკელებს ჩვენი ძალები ვაჩვენოთ, – აცხადებს ირანელი გენერალი.

რუსეთმა ამ წინადადებას ჯერჯერობით არ უპასუხა, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ მოსკოვი მას არ მიიღებს.

– დღევანდელი რუსეთი აშშ-სთან ასეთი ხისტი დაპირისპირებისთვის მზად არ არის, – აცხადებს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ამავე დროს, პოლიტოლოგები მიუთითებენ, რომ ანტიამერიკული ალიანსის თემას კრემლი პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენებს. განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ამას წინასაარჩევნო პერიოდში ექნება.

# ტრამპმა თურქეთს სირიაში ოპერაციის შეზღუდვისკენ მოუწოდა

დონალდ ტრამპმა თურქეთს სირიაში სამხედრო ოპერაციების შეზღუდვისაკენ მოუწოდა. ტრამპის აზრით, აფრინთან ბრძოლების გაგრძელება ტერორიზმთან ბრძოლას ზიანს აყენებს.

– ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს: ისლამური ტერორიზმის განადგურება, ქურთების წინააღმდეგ ოპერაცია კი დამატებით სირთულეებს გვიქმნის, – განაცხადა ტრამპმა.



# გოგონა ექიმის ოპტიმისტური პროგნოზის შემდეგ გარდაიცვალა

ექვსი წლის ამერიკელი გოგონა გრიპისგან მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც ექიმისგან მისი გასინჯვის შემდეგ გამოჯანმრთელების პირობა მიიღო.



ემილი გრეის მუტი ჩრდილოეთ კაროლინის შტატიდან რამდენიმე დღის წინ გახდა ავად და დედამ ის დაუყოვნებლივ ექიმთან მიიყვანა. მას გრიპი დაუდგინეს და ძლიერმოქმედი წამალი „ტამიფლუ" გამოუწერეს, თუმცა ორი დღის შემდეგ გოგონას სულისხუთვა დაეწყო და სასწრაფო გამოიძახეს. ადგილზე მისულმა ექიმებმა დედას ურჩიეს, ბავშვისთვის მეტი სითხე მიეცა და უთხრეს, რომ მისი შვილი ერთ კვირაში გამოჯანმრთელდებოდა. მაგრამ რამდენიმე საათში გოგონას მდგომარეობა გაუარესდა. ემილი კიდევ უფრო მძიმედ სუნთქავდა, შემდეგ მოულოდნელად საწოლზე წამოჯდა და უსულოდ დაეცა. დედამ ისევ გამოიძახა ექიმები. მათ ბავშვს გულის მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, გოგონა გზაში გარდაიცვალა, როდესაც ის საავადმყოფოში გადაჰყავდათ.

აშშ-ის 49 შტატში „ჰონგკონგური" გრიპის ეპიდემია მძვინვარებს. დღევანდელი ინფორმაციით, ეპიდემიას 30 ბავშვი უკვე ემსხვერპლა.

# ესპანეთში თევზსაჭერი გემიდან 12 ტონა ჰაშიში ამოიღეს



ესპანეთის ეროვნული პოლიციისა და საბაჟო სამსახურის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად ქალაქ კადისის მახლობლად თევზსაჭერი გემიდან 12 ტონა ჰაშიში ამოიღეს.

ამის შესახებ ესპანეთის პოლიციაში განაცხადეს.

თევზსაჭერი გემი კადისიდან 240 კილომეტრში აღმოაჩინეს. დაკავებულია ეკიპაჟის 13 წევრი.

ყველა მათგანი მაროკოს მოქალაქეა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# კანადელი მატარებლის გამცილებელი სამსახურიდან რელსებზე სექსუალური სურათების გამო დაითხოვეს

კანადის წყნარი ოკეანის რკინიგზამ ისევ გაათავისუფლა სამსახურიდან მატარებლის გამცილებელი, რომელსაც რელსებზე დედიშობილა სურათების გადაღება უყვარს.



სტაფანი კატელნიკოფი სამსახურიდან შიდაუწყებრივი გამოძიების შემდეგ იქნა გათავისუფლებული, რომელიც სარკინიგზო კომპანიამ ჩაატარა. გამოძიებამ დაადასტურა, რომ ქალი რეგულარულად აქვეყნებს ინტერნეტში სექსუალურ პოზებში გადაღებულ საკუთარ ფოტოსურათებს. ზოგიერთ სურათზე ის სრულიად შიშველია, ზოგიერთზე კი – სანახევროდ და ყოველთვის რელსებზე დგას. მისი სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება 2017 წლის ნოემბერში იქნა მიღებული, თუმცა ეს მედიისთვის მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი.

თავად გოგონა ეჭვობს, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ჭეშმარიტი მიზეზი გახდა ვიდეო, რომელშიც ის რკინიგზის ყოფილ ხელმძღვანელს აკრიტიკებდა. მისი თქმით, ის ნანობს რელსებზე გადაღებული ფოტოსურათების გამო, მაგრამ, ამავე დროს, სამარცხვინოდ არ მიიჩნევს სხვა ფოტოსურათებს.

– არ ვნანობ, რომ ხელოვნების ამ ნაწარმოებებს ვქმნიდი და შემდეგ ვაზიარებდი, – განაცხადა სტაფანიმ.

2015 წელს გოგონა სამსახურიდან იმ სატვირთო მატარებლის გადავარდნის შემდეგ დაითხოვეს, რომელზეც ის მსახურობდა. სტაფანი ორი წელი ამტკიცებდა, რომ კომპანიამ ის, უბრალოდ, თავიდან მოიშორა, რათა ამით სექსუალურ ზეწოლაზე მისი საჩივარი ჩაეფარცხათ. მაშინ მან მოახერხა, რომ თანამდებობაზე აღედგინათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# მილტონ ჰეიგმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს რაგბის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 2018 წლის რაგბის ევროპის ჩემპიონატის საწყისი 2 მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. წლის პირველ შეხვედრას „ბორჯღალოსნები" ბელგიის წინააღმდეგ 10 თებერვალს ქუთაისში გამართავენ.

ნაკრების არსებობის 28-წლიან ისტორიაში ნაკრები ქუთაისში მესამედ ითამაშებენ. პირველი შეხვედრა 1989 წლის 12 სექტემბერს გამართა. მაშინ ქუთაისს ზიმბაბვეს ნაკრები ეწვია და საქართველომ პირველ, ისტორიულ მატჩში მეტოქე 16:3 დაამარცხა.

2005 წლის 12 ივნისს „ბორჯღალოსნებმა" მაშინდელი ერთა თასის ეგიდით ქუთაისში ჩეხეთი მიიღეს, მეტოქეს 11 ლელო გაუტანეს, 75:10 დაამარცხეს და გატანილ-გაშვებული ქულათა უკეთესი სხვაობით წელი პირველ ადგილზე დაასრულეს.

ეს ორივე შეხვედრა რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე გაიმართა, „აია არენაზე" კი „ბორჯღალოსნები" პირველად ითამაშებენ. შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

ამ თამაშიდან ერთ კვირაში, 17 თებერვალს, საქართველო გერმანიას ეწვევა და ჩვენი დროით 17:30 საათზე მასპინძელთა გუნდს ოფენბახში შეხვდება.

„ბორჯღალოსნებს" ბელგიელებთან აქამდე 3-ჯერ, ხოლო გერმანელებთან 6-ჯერ უთამაშიათ და ორივე მეტოქესთან 100%-იანი შედეგი აქვთ.

მომავალი მატჩებისთვის შერჩეულ 36-კაციან გაფართოებულ სიაში 2 ისეთი მორაგბეა, რომელთაც „ბორჯღალოსნების" კვართით ჯერ არ უთამაშიათ. ორივე პოტენციური დებიუტანტი მესამეხაზელია — კრასნოიარსკის ენისეის წევრი მიხეილ გაჩეჩილაძე და საქართველოს ჩემპიონის, გორის ჯიქის კაპიტანი გურამ შენგელია.

მთლიანობაში, 36 მორაგბიდან 24 ლეგიონერია, ხოლო 12 დიდ 10-ს წარმოადგენს. დიდი 10-ის კლუბების მოთამაშეები, ასევე ციმბირული კლუბების ლეგიონერები, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით „შევარდენზე" კვირაში 3-ჯერ ვარჯიშობენ, ხოლო უშუალოდ ბელგიასთან მატჩისთვის მზადება და შეკრება კი, 4 თებერვალს დაიწყება.

ამ ორი თამაშისთვის გაფართოებულ შემადგენლობაში არიან გამოცდილი „ბორჯღალოსნები": მიხეილ ნარიაშვილი, კახა ასიეშვილი, ზურაბ ჟვანია, ანტონ ფეიქრიშვილი, ლევან ჩილაჩავა, შალვა მამუკაშვილი, კოტე მიქაუტაძე, გიორგი ნემსაძე, ვიტო კოლელიშვილი, გიორგი თხილაიშვილი, ლაშა ლომიძე, ვასილ ლობჟანიძე, გიორგი ბეგაძე, ლაშა ხმალაძე, ლაშა მალაღურაძე, მერაბ შარიქაძე, დავით კაჭარავა, ალექსანდრე თოდუა, ბექა წიკლაური და მერაბ კვირიკაშვილი.

შედარებით ახალბედები არიან თორნიკე მატარაძე, ლაშა ტაბიძე, ბადრი ალხაზაშვილი, გიორგი ჭყოიძე, ნოდარ ჭეიშვილი, ოთარ გიორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, გელა აფრასიძე, რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი კვესელაძე, გიორგი კოშაძე, ანზორ სიჭინავა, იოსებ მათიაშვილი და გიორგი ფრუიძე.

ახალბედებს შორის ყველაზე მეტი — 13 კეპი ფრუიძის ანგარიშზეა, თუმცა მან „ბორჯღალოსანთა" კვართით ბოლოს ერთი წლის წინ სწორედ ბელგიისა და გერმანიის წინააღმდეგ ითამაშა. 2 სანაკრებო კეპი სწორედ ერთი წლის წინ ბელგია-გერმანიასთან მოიხვეჭა ჭყოიძემ, ხოლო სიჭინავამ ერთადერთი კეპი 2016 წლის ნოემბერში იაპონიასთან მოიხვეჭა.

მილტონ ჰეიგი ამბობს, რომ 2019 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების კუთხით, 2018 წელს გასამართ მატჩებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება:

— ვიწყებთ მზადებას 2019 წლის მსოფლიო თასისთვის და ღირსშესანიშნავი დრო დაგვიდგა, რადგან ახალი სეზონის საწყისია მათთვის, ვინც ჩართულნი ვართ ნაკრების მუშაობაში. 2018 წლის დაწყებასთან ერთად, ვგეგმავთ იმ სელექციისა და გეგმების წარდგენას, რომელიც გავლენას იქონიებს 2019 წლის მსოფლიო თასის სტრატეგიასა და მიზნებზე. იმ მორაგბეებმა, რომლებსაც უახლოესი 12 თვის განმავლობაში შევარჩევთ, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ პერიოდში მათ დიდი ყურადღებით დავაკვირდებით, რათა დავადგინოთ, ნამდვილად იმსახურებენ თუ არა, რომ იაპონიაში ჩვენ ქვეყანას წარმოადგენდნენ.

# საქართველო ერთა ლიგას ყაზახეთში გასვლითი მატჩით იწყებს

მეტოქეები ფავორიტად გვთვლიან, ვაისი მეტოქეებს პატივს სცემს




როგორც უკვე ცნობილია, უეფას ერთა ლიგის გათამაშებაზე საქართველო დ ლიგის ა ჯგუფში ლატვიას, ყაზახეთსა და ანდორას დაუპირისპირდება. წილისყრის დასრულების შემდეგ ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა წილისყრა და უეფას ახალი გათამაშება შეაფასა.

**ვლადიმირ ვაისი:**

— რასაკვირველია, ჩვენი სურვილია მიზნის მიღწევა, თუმცა, პატივი უნდა ვცეთ ყველა მეტოქეს, რომელიც დღევანდელი წილისყრის შედეგად შეგვხვდა. ყაზახეთის ფეხბურთს კარგად ვიცნობ, ლატვიასაც საკმაოდ მცირე ხნის წინ ვეთამაშეთ და არც ანდორა იქნება იოლი მეტოქე. იმედია, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებისთვის 2018 წლის სეზონის დასაწყისი წარმატებული იქნება და საშემოდგომოდ მზად იქნებიან ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპისთვის. ჩვენი ნაკრების ყველა წევრი, ისევე როგორც ყველა ქართველი, ოცნებობს დიდ ტურნირზე თამაშის უფლების მოპოვებაზე.

ეს ახალი ტურნირი ყველა ქვეყნისთვის ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შესანიშნავ შანსს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით სანახაობრივი იქნება მოწინავე ჯგუფებში მოასპარეზე წამყვან გუნდებს შორის ბრძოლა. რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს, მიმაჩნია, რომ ყველა გუნდს გააჩნია გამარჯვების და წარმატების შანსი. შემოდგომისთვის თანმიმდევრობით მოვემზადებით ყველა მეტოქესთან შესახვედრად. გასულ საკვალიფიკაციო ციკლში ჩვენ ხშირად კარგი თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ სასურველი შედეგების მოპოვება ვერ შევძელით. ახლა დროა, გავიმარჯვოთ. რადგან თუ გსურს ევროპის ჩემპიონატზე გასვლა, აუცილებლად უნდა მოიგო და გაიმარჯვო ჯგუფში.

**ლევან კობიაშვილი:**

— ერთა ლიგის ფორმატი ძალიან საინტერესოა, ამხანაგურ თამაშებს, რეალურად ეს ფორმატი ჩაანაცვლებს. რაც შეეხება წილისყრასა და ჯგუფს. ვფიქრობ, საინტერესო ჯგუფია, იოლი თამაშები არ იქნება, ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი არ იყო ვინ შეგვხვდებოდა, ჩემთვის მნიშვნელოვანი არის ის, რომ სექტემბერში როდესაც დაიწყება თამაშები, ისეთი გუნდი გვყავდეს მოედანზე, რომელიც ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან თამაშისას შეძლებს, შეხვედრა ჩვენ სასარგებლოდ დაასრულოს.

ვნახოთ, რას ფიქრობენ ჩვენი მეტოქეები.

ყაზახური მედია წერს, რომ საქართველო ღირსეული მეტოქეა.

— ვლადიმირ ვაისის განკარგულებაში კარგად განსწავლული და ტექნიკურად შესანიშნავად მომზადებული ფეხბურთელების ჯგუფია. სხვა საქმეა რა აძინებს ამ კომპონენტებს. 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, საქართველომ, ისევე როგორც ყაზახეთმა, გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა. ურთიერთშეხვედრებშიც თანაბარი ბალანსია — ორივე გუნდმა თითო შეხვედრა მოიგო, ხოლო 2 მატჩი ფრედ დასრულდა. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ შანსი, რომ ეს სტატისტიკა ჩვენს სასარგებლოდ შევცვალოთ? — წერენ ყაზახები.

ლატვიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ სტარკოვსს ჯგუფის ფავორიტად საქართველოს ნაკრები მიაჩნია.

**ალექსანდრ სტარკოვსი:**

— ჯგუფი საკმაოდ საინტერესოა. გუნდები სხვადასხვა სტილში თამაშობენ, მაგრამ მეტოქეებს კარგად ვიცნობთ. ამიტომ, ეს ტურნირისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. ანდორას ნებისმიერი ნაკრების გამწარება შეუძლია. ყაზახეთს ჩვენს ჯგუფში უძლიერესი საკლუბო ფეხბურთი აქვს. საქართველოს ფავორიტად მიიჩნევა, რადგან ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და მაღალი დონის სპეციალისტი ვლადიმირ ვაისი წვრთნის. თუმცა, ჩვენთვის ამოცანა არ იცვლება — ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება და ტურნირის მოგება გვსურს.

საქართველოს ნაკრებს ფავორიტად მიიჩნევს ანდორის ნაკრების მწვრთნელი კოლდო ალვარესიც:

— ჩემი აზრით, რთული ჯგუფია, საიდანაც საქართველოს და ლატვიის ნაკრებების გამორჩევა შეიძლება — საკმაოდ გამოცდილი გუნდებია. ძლიერია ყაზახეთიც. სამწუხაროდ, საქართველოსა და ლატვიის ნაკრებებზე მწირ ინფორმაციას ვფლობ. საჭირო ცნობებს გუნდებზე უშუალოდ თამაშების წინ მოვიპოვებთ. თამაში ყველასთან შეიძლება და ამის დასტური 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენი გამოსვლაა. ვინაა ჯგუფის აშკარა ფავორიტი? საქართველო! რატომ? ამ ნაკრების შემადგენლობაში არცთუ ცოტა მოთამაშეა, რომელიც ძლიერ ევროპულ ჩემპიონატში გამოდის.

❖ ❖ ❖

რა ბალანსი გვაქვს მეტოქეებთან?

საქართველოს და ლატვიის ნაკრებებმა ერთმანეთში 8-ჯერ ითამაშეს და სრული თანაფარდობაა. თუმცა, უკანასკნელი დაპირისპირება ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს — 2017 წლის მარტში ვაისის შეგირდებმა ლატვია 5:0 გაანადგურეს. ამ დაპირისპირების კიდევ ერთი უპირატესობა, სლოვაკი მწვრთნელი კარგად იცნობს ლატვიის ნაკრებს.

საქართველომ და ლატვიამ 3-3 მატჩი მოიგეს, ორი კი ფრედ დასრულდა. ბურთებით ქართველებს უპირატესობა აქვთ — 14:10.

ერთია, სამივე გამარჯვება საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩებში მოიპოვა, ხოლო ოფიციალურ შეხვედრებში უპირატესობა უკვე ბალტიისპირელების მხარეს არის. ჩვენი ნაკრებები ევრო 2000-ის და ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპებზე შეხვდნენ ერთმანეთს და საქართველოს ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია.

ყაზახებთან 4 მატჩი და სრული თანაფარდობა: თითო მოგება და ორი ფრე. ვაისი კარგად იცნობს ყაზახურ ფეხბურთს და ეს ჩვენი გუნდისთვის გარკვეული უპირატესობაა.

ანდორა ევროპის იმ იშვიათ ქვეყნებს შორისაა, რომელთანაც საქართველოს ნაკრებს ჯერ არ უთამაშია. ასე რომ, ეს პირველად 13 ოქტომბერს მოხდება.

მაშ ასე, საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზას 6 სექტემბერს დაიწყებს, **სრული კალენდარი კი ასეთია:**

**6 სექტემბერი**: ყაზახეთი-საქართველო; ლატვია-ანდორა;

**9 სექტემბერი**: საქართველო-ლატვია;

**10 სექტემბერი**: ანდორა-ყაზახეთი;

**13 ოქტომბერი**: საქართველო-ანდორა; ლატვია-ყაზახეთი;

**16 ოქტომბერი**: ყაზახეთი-ანდორა; ლატვია-საქართველო;

**15 ნოემბერი**: ყაზახეთი-ლატვია;

**16 ნოემბერი**: ანდორა-საქართველო;

**19 ნოემბერი**: ანდორა-ლატვია; საქართველო-ყაზახეთი.

# შედეგები

**24 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

არსენალი-ჩელსი ............................ 2:1

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ალავესი-ვალენსია ............... 2:1(2:3პ)

რეალი-ლეგანესი ........................... 1:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ფიურტი ........................... 0:0

ფორტუნა-აუე ............................... 2:1

ჰაიდენჰაიმი-ბრაუნშვაიგი ............ 2:0

**იტალია. სერია ა**

ლაციო-უდინეზე ........................... 3:0

სამპდორია-რომა .......................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 17 | 3 | 1 | 45:13 | 54 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 17 | 2 | 2 | 50:15 | 53 |
| 3.ლაციო | 21 | 14 | 4 | 3 | 56:25 | 46 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 7 | 2 | 36:16 | 43 |
| 5.რომა | 21 | 12 | 5 | 4 | 32:16 | 41 |
| 6.სამპდორია | 21 | 10 | 4 | 7 | 40:31 | 34 |
| 7.მილანი | 21 | 9 | 4 | 8 | 27:28 | 31 |
| 8.ატალანტა | 21 | 8 | 6 | 7 | 31:27 | 30 |
| 9.უდინეზე | 21 | 9 | 2 | 10 | 34:31 | 29 |
| 10.ტორინო | 21 | 6 | 11 | 4 | 29:28 | 29 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 30:24 | 28 |
| 12.ბოლონია | 21 | 8 | 3 | 10 | 26:30 | 27 |
| 13.კიევო | 21 | 5 | 7 | 9 | 21:37 | 22 |
| 14.სასუოლო | 21 | 6 | 4 | 11 | 14:31 | 22 |
| 15.ჯენოა | 21 | 5 | 6 | 10 | 16:23 | 21 |
| 16.კალიარი | 21 | 6 | 2 | 13 | 19:33 | 20 |
| 17.კროტონე | 21 | 5 | 3 | 13 | 16:38 | 18 |
| 18.სპალი | 21 | 3 | 7 | 11 | 22:39 | 16 |
| 19.ვერონა | 21 | 3 | 4 | 14 | 18:44 | 13 |
| 20.ბენევენტო | 21 | 2 | 1 | 18 | 13:46 | 7 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

უტრეხტი-ფეიენოორდი .................. 1:1

**პორტუგალია. ლიგის თასი**

სპორტინგი-პორტუ ............. 0:0(4:3პ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-ჰართსი ........................ 0:3

მოზერველი-როსი .......................... 2:0

რეინჯერსი-აბერდინი ..................... 2:0

დანდი-ჰიბერნიანი ......................... 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ბევერენი .................. 2:2

ანტვერპენი-გენტი ......................... 1:1

ლოკერენი-გენკი ........................... 1:2

ეუპენი-შარლერუა ......................... 1:0

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

ჩილიჩი-ედმუნდი ................6:2,7:6,6:2

**ქალები**

მერტენსი-ვოზნიაცკი ..............3:6,6:7

ჰალეპი-კერბერი ................6:3,4:6,9:7

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მარკოიშვილი და რეჯიო ემილია პლეი ოფისკენ მიიწევენ




მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილიამ ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, რითაც პლეი ოფის გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგა. ემილიელებმა ევროთასის ტოპ-16-ის მორიგ ტურში ყაზანის უნიკსს უმასპინძლეს და დრამატულ ბრძოლაში 1 ქულის სხვაობით – 76:75 იმარჯვეს.

ეს გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ რეჯიოემილიელებმა რუსულ კლუბთან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა მოიპოვეს და, ვინძლო, ჯგუფური ეტაპი თანაბარი ქულებით დაასრულონ, მარკოიშვილის გუნდი წინ იქნება. რეჯიო ემილიამ წინა ტურში უნიკსელები ყაზანშიც დაამარცხა და, შესაბამისად, ორმატჩიანი დუელი მოგებული აქვს.

ყაზანელები მატჩის მიმდინარეობისას 15 ქულით, ხოლო ბოლო პერიოდის წინ 10 ქულით ლიდერობდნენ და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, თუმცა დასკვნითი 10-წუთეული მასპინძლებმა 26:15 მოიგეს და დაძაბულ ფინალში ქულით იმარჯვეს.

ქართველი ლეგიონერი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 25 წუთი გაატარა. მარკოიშვილმა 4-დან 1 ორქულიანი და 5-დან 1 სამიანი ჩააგდო. მის ანგარიშზე 5 ქულა, 3 პასი, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა დაგროვდა.

3 მოგებითა და 1 მარცხით რეჯიო ემილია ანალოგიური შედეგის მქონე ვილერბანთან ჯგუფში 1-2 ადგილებს იყოფს.

მომდევნო, ბოლოსწინა ტურში მარკოიშვილის გუნდი სტუმრად ლიმოჟს შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფის საგზურს გაინაღდებს. შეგახსენებთ, რომ 4-გუნდიანი ჯგუფიდან მეოთხედფინალში 2 საუკეთესო გადის.

# უზარმაზარმა პითონმა ბრიტანელი ცხოველთა მოყვარული მოკლა

ბრიტანეთის ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ბეისინგსტოუკში სასამართლოში გამოცხადდა 31 წლის ეგზოტიკური ცხოველების მოყვარულის დენ ბრენდონის დაღუპვის გარემოებები.



ახალგაზრდა კაცს მშობლების სახლში ჰქონდა 12 ტერარიუმი, ჰყავდა ათი გველი და იეროგლიფური 254 სანტიმეტრი სიგრძის პითონი, რომელსაც სახელად ტაინი დაარქვა. 2017 წლის 25 აგვისტოს მის მშობლებს ბრენდონის ოთახიდან დაცემის ხმა შემოესმათ, თუმცა ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. როდესაც მათი შვილი სადილზე არ გამოვიდა, ისინი მეორე სართულზე ავიდნენ და იატაკზე პირქვედაგდებული მისი ცხედარი დაინახეს. მისი ყველა არსება ადგილზე იყო, გარდა ტაინისა. მოგვიანებით ის იმ ყუთის უკან მიმალული იპოვეს, რომელიც გველების მოსავლელად იყო განკუთვნილი.

პათოლოგოანატომ ადმან ალ-ბადრის თქმით, რომელმაც გვამის გაკვეთა ჩაატარა, მან დაღუპულის გვამზე თვალის მიდამოში სისხლჩაქცევები და დახეთქილი სისხლძარღვები აღმოაჩინა, თუმცა, ამავე დროს, კისერზე გაგუდვის კვალი არ აღმოჩნდა. ჰერპეტოლოგი ჯონ კუპერი ამტკიცებს, რომ პითონის მიერ გამოცვლილ ტყავზე ნაკაწრები არ იქნა აღმოჩენილი, რომელიც ადამიანთან ორთაბრძოლისგან უნდა დარჩენილიყო. ასევე, მისი აზრით, ტაინს პატრონისთვის რომ ეკბინა, ეს აშკარად შესამჩნევი იქნებოდა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, კორონერი ანდრიუ ბრედლი დარწმუნებულია, რომ დენ ბრენდონის დაღუპვაში მნიშვნელოვანი როლი პითონმა შეასრულა. მისი აზრით, გველმა მამაკაცი შემთხვევით მოკლა.

# ბეჰემოთების ჯოგმა ზვიგენი გააგდო

ბეჰემოთების ჯოგმა გააგდო ზვიგენი, რომელიც მათ ჯოგში შეიჭრა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში გადაიღეს.

– როდესაც საფარიზე ნიანგებსა და ბეჰემოთებს ვადევნებდით თვალს, ზვიგენი შევნიშნეთ, რომელიც მათთან ძალიან ახლოს იმყოფებოდა, – განაცხადა ვიდეორგოლის ავტორმა, გიდმა სტეისი ფარელმა. მისი თქმით, ბეჰემოთები წყალში ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ, ეს თევზებს იზიდავს, ხოლო თევზების ერთ ადგილზე თავმოყრა უკვე ზვიგენებს იზიდავს.



გიდის აზრით, ზვიგენი პირდაპირ ბეჰემოთს შეასკდა, ვინაიდან ამღვრეულ წყალში ვერ შენიშნა. ცხოველები ამან გააცეცხლა და რამდენჯერმე ცადეს მისთვის დარტყმის მიყენება, თუმცა მტაცებელი თევზი უფრო სწრაფი აღმოჩნდა და მოახერხა, ინციდენტის ადგილს დაუშავებლად გასცლოდა.

# ყველაზე მსუქანმა ბიჭმა წონაში დაიკლო და საწოლიდან ადგომა შეძლო

ინდონეზიელმა არია პერმანამ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მსუქან ბიჭად ითვლება, თავისი წონის მესამედზე მეტი დაიკლო და საწოლიდან ადგომა შეძლო. ის უკვე ეთამაშება მეგობრებს და სკოლაშიც დადის.



სანამ წონაში დაკლებას დაიწყებდა, 10 წლის პერმანა დაახლოებით 192 კილოგრამს იწონიდა. ორი წლის განმავლობაში მან 76 კილოგრამი დაიკლო და მკვეთრად შეცვალა საკუთარი ცხოვრების წესი: თავისუფალ დროს მეგობრებთან თამაშობს ბადმინტონსა და ფეხბურთს და ადრინდელივით აღარ წევს საწოლზე, როცა მხოლოდ ტელეფონით ერთობოდა. ბიჭი დამოუკიდებლად დადის სკოლაში და ყოველდღე ორ კილომეტრს დარბის.

მისი მშობლები, რომლებიც ადრე იძულებულნი იყვნენ, ბავშვის გამოსაკვებად ფული ესესხათ, შვილის ცვლილებით მეტად კმაყოფილი არიან.

– ბოლოს და ბოლოს, თავისუფლად სუნთქავს, თავს ბედნიერად გრძნობს და აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, – განაცხადა ბიჭის დედამ. მან იქვე დაამატა, რომ შვილს ტკბილეულის ჭამას უკრძალავს და ბევრ ხილსა და ბოსტნეულს აძლევს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# მეძავების პროფესიაში ახალი ერა დაიწყო

ინტერნეტმა მეძავების სამსახური უფრო საინტერესო და თითქმის უსაფრთხო გახადა. ეს ყოველივე ნათქვამია ბრიტანეთის ლესტერისა და სტრატკლაიდის უნივერსიტეტების მეცნიერების მიერ ჩატარებულ კვლევებში, რომელიც ერთ-ერთ ბრიტანულ პორტალზე იქნა გამოქვეყნებული.



სულ 641 მეძავი იქნა გამოკითხული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. გამოკითხვის მონაწილეები ინტერნეტს კლიენტების მოსაძიებლად იყენებენ. გამოკითხულთა 80 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ საკუთარი საქმიანობითა და შრომის პირობებით კმაყოფილია, ხოლო სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს სასარგებლოდ მიიჩნევენ.

ინტერნეტის წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა ძალადობის დონე სექსმუშაკებთან მიმართებით. მეძავების მხოლოდ ხუთ პროცენტს ჰქონდა შეხება მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე.

ინტერნეტის წყალობით მეძავები ერთმანეთთან ურთიერთობენ და აუცილებლობის შემთხვევაში ფსიქოლოგიურ დახმარებასაც უწევენ ერთმანეთს. მათ ასევე შექმნეს კლიენტების მონაცემთა ბაზა და მათ შესახებ ინფორმაციას ვიზიტამდე ეცნობიან.

# ბრაზილიელმა ბიჭმა შემთხვევით შამფური გულში გაიყარა და გადარჩა

ბრაზილიელმა ექიმებმა მოახერხეს ბიჭის გადარჩენა, რომელმაც შემთხვევით ბარბექიუს შამფური გულში გაიყარა.

ინციდენტი ბრაზილიის ტორიტამას მუნიციპალიტეტში მოხდა. 11 წლის მარივალდო ხოსე და სილვა სახლის კარის წინ თამაშობდა, როდესაც მოულოდნელად წონასწორობა დაკარგა და ზურგით შამფურებიან კასრს დაეცა. ოჯახმა ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ექიმებმა მისი მდგომარეობის სტაბილიზირება შეძლეს და ამის შემდეგ 170 კილომეტრით დაშორებულ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.



ექიმებმა დაადასტურეს, რომ შამფურმა გული დააზიანა, ვინაიდან ყოველ დარტყმაზე ის ვიბრირებდა. უცხო სხეულის მოშორების ოპერაცია საათ-ნახევარს გაგრძელდა. ქირურგ ანდრეა როლიმის თქმით, სილვა იმან გადაარჩინა, რომ შამფურის მისი სხეულიდან ამოძრობა არავის უცდია.

– ოჯახის წევრებს საავადმყოფოში მის მიყვანამდე რომ ამოეძროთ შამფური, ბავშვი ბევრ სისხლს დაკარგავდა და დაიღუპებოდა, – განმარტა ექიმმა.

ბიჭი უკვე გამოწერეს რეანიმაციიდან, თუმცა ის კვლავაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 26 იანვარი



**ვერძი** – ნეგატიური დღეა. კოლეგებთან და ნათესავებთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კურო** – საკუთარი პოზიციები მტკიცედ დაიცავით. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. იაქტიურეთ. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **კირჩხიბი** – ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ან მცირე კამათი გარშემომყოფებთან. **ლომი** – საოჯახო საქმეების მოგვარებას დილიდანვე შეუდექით. ენერგიას ნუ დაზოგავთ. შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. **ქალწული** – მშვენიერი დღეა ცოდნის მისაღებად, პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის. **სასწორი** – მიმდინარე საქმეების მოგვარება იოლი არ იქნება. მოთმინება გმართებთ. **ღრიანკალი** – დრო რაციონალურად გაანაწილეთ. ვარსკვლავები გმფარველობენ. მთავარია, სითამამე გამოიჩინოთ. **მშვილდოსანი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **მერწყული** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. განაახლეთ ძველ მეგობრებთან ურთიერთობა. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 9. ქართული ხალხური სუფრული სიმღერა; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ხეობა, მდინარე აფხაზეთში; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. თბილისის მმართველი მეცხრე-მეთორმეტე საუკუნეებში.

**თარაზულად**: 1. მდინარე ამაზონის აუზში ბინადარი მტაცებელი თევზი; 6. ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპული ჩანასახი გამრავლებისათვის; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 14. ჯარების მართვის ორგანო; 16. ძვირფასი ლითონი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. ფიგურული სახაზავი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყვანჯი; 2. ზვავი; 3. მუზა; 5. შუქურა; 6. ბჟუჟი; 7. ჯანაოზი; 11. ხენდრო; 13. ალაზანი; 14. აგავა; 15. სლალომი; 16. ბარამბო; 17. სოკერი; 19. ეპოქა; 20. დუყი.

**თარაზულად:** 1. ყაზარმა; 4. პორშე; 8. ზვარი; 9. ქროუ; 10. ნავახა; 12. ლაუდერი; 14. აიდა; 15. სინაგოგა; 16. ბრავო; 18. კოლიე; 21. კასიო; 22. ყარაყუმი; 23. ქორწილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. იორი; 9. კოლაფსი; 10. კუკარაჩა; 12. თუშეთი; 13. სიამი; 15. ოტელო.

**თარაზულად:** 1. ბაგიათი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. კრინი; 11. ერატო; 13. სიათა; 14. იმოლა; 16. ელია; 17. აპოთემა; 18. დონორი.

# გადაცემა „რეალური სივრცე“ ეთერში ბრუნდება




ნინო ზაუტაშვილის საავტორო გადაცემა „რეალური სივრცე“ საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეთერში ბრუნდება.

26 იანვრიდან მაყურებელი შეძლებს, ნახოს გადაცემა, რომელიც საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს აშუქებდა.

საზოგადოებრივ მაუწყებელში დეკორაცია უკვე აწყობილია და პირველი გადაცემაც მზად არის.

**ნინო ზაუტაშვილი:**

– მიუხედავად დიდი პაუზისა, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებს შევეჭიდეთ. 26 იანვრიდან ყოველ პარასკევს, საღამოს 7 საათზე გვნახავთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ან მერე საკუთარ ლეპტოპში.

# ვლადიმერ ვისოცკის 80 წლის იუბილე თბილისში აღინიშნება

მომღერლისა და არტისტის ვლადიმერ ვისოცკის 80 წლის იუბილე თბილისში აღინიშნება.

„მე მაქვს სამღერი...“ – ასე ეწოდება კონცერტ-სპექტაკლს, რომელიც 27 იანვარს გრიბოედოვის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი შემსრულებლები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება ორი წიგნის პრეზენტაცია: „ვისოცკი საქართველოში“ და გამოცემა სერიიდან „რუსები საქართველოში“, რომელიც ვისოცკის საქართველოში ყოფნას ეძღვნება.




კონცერტს მოსკოვიდან სპეციალური საპატიო სტუმრების სტატუსით ეწვევიან ფოტოგრაფი და ჟურნალისტი იური როსტი, ფოტოხელოვანი, პოეტ რობერტ როჟდესტვენსკის ქალიშვილი ეკატერინა როჟდესტვენსკაია, ვისოცკმცოდნეობის წამყვანი სპეციალისტი ანდრეი კრილოვი, რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის დირექტორი ტატიანა გორიევა, რუსეთის უმსხვილესი წიგნის მაღაზიის „მოსკოვის“ დირექტორი მარინა კამენევა.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ შემსრულებლები რუსეთიდან ბორის დრაგილევი და თიმურ შაოვი, ქართველი შემსრულებლებიდან კი მსმენელის წინაშე წარდგებიან ვახტანგ კიკაბიძე, ირმა სოხაძე, მაია ბარათაშვილი, თემურ თათარაშვილი, ზურაბ დოიჯაშვილი, ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილი.

ვლადიმერ ვისოცკის საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ გრიბოედოვის თეატრის მსახიობები ირინა მეღვინეთუხუცესი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, ნინა ნინიძე.

საღამოზე აჟღერდება სიმღერები ახალი არანჟირებით, უჩვეულო შესრულება და ორიგინალური სცენოგრაფია. ყველა სიმღერა გაიჟღერებს კოტე მალანიას არანჟირებაში.

რუსი მუსიკოსი, მსახიობი და პოეტი ვლადიმირ ვისოცკი განსაკუთრებით პოპულარული გახდა საკუთარი სიმღერების გიტარაზე შესრულებით. XX საუკუნის 70-იან წლებში მის სიმღერებს ყოფილი სსრკ-ის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა იცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმღერები იმდროინდელ საბჭოთა ოფიციალურ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში თითქმის არ ისმოდა. ვისოცკის ეკუთვნის 700-მდე სიმღერა და ლექსი. მან ითამაშა 30-მდე ფილმში, მონაწილეობდა სპექტაკლებში და კონცერტებით მოიარა თითქმის მთელი ქვეყანა. ვლადიმერ ვისოცკი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# ნინო წულაიამ თავშესაფარში მცხოვრებ მოხუცებს უმღერა

„ნიჭიერის“ ერთ-ერთმა მონაწილემ, საოპერო მომღერალმა ნინო წულაიამ, ბათუმის მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრებ ხანდაზმულებს უმღერა.

**ნინო წულაია:**

– ვესტუმრეთ ბათუმის მოხუცთა თავშესაფარს, სათნოების სახლს! ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვეცადეთ, გაგველამაზებინა უსაყვარლესი ხანდაზმულებისთვის დღე, დაგვევიწყებინა მათთვის საფიქრალი და გადაგვეცა ჩვენი პოზიტივი და სითბო მათთვის! ვფიქრობ, გამოგვივიდა.



*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ელენე ახვლედიანის შთამომავლებს სახლის დასაცლელად ერთი თვე მისცეს

მხატვარ ელენე ახვლედიანის შთამომავლებს ვაკეში, კავსაძის ქუჩაზე მდებარე სახლის დასატოვებლად აღსრულების ბიურომ ერთთვიანი ვადა მისცა. ადგილზე აღმასრულებელი პოლიცია უკვე იმყოფებოდა და ოჯახი ამის შესახებ გააფრთხილა.

იკა ახვლედიანი სახლს 75 ათას დოლარად ყიდის, რათა ვალი დაფაროს და 7-სულიანი ოჯახი ქუჩაში, ღია ცის ქვეშ არ დარჩეს. მისი თქმით, ოჯახს წასასვლელი არსად აქვს.

იკას დასახმარებლად, რომელიც თვითონაც ხელოვანია და ულამაზეს დეკორატიულ ნივთებს ქმნის, მეგობრების მიერ რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, თუმცა პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა.



როგორც იკა ახვლედიანის მეგობრებმა განაცხადეს, ხელოვანს სახლიდან მევახშეების ცნობილი „ბომონდი“ ასახლებს, რომელმაც თავის დროზე 2 თვის პროცენტის გამო ბინა გადაიფორმა და კაპიკებში ხელში ჩაიგდო.

გავრცელებული ინფორმაციით, სახლი აუქციონის წესით 5000 ლარად მევახშისთვის გადაუხდელი ვალის გამო გაიყიდა. სახლის დატოვების გაფრთხილება ოჯახმა რამდენჯერმე მიიღო, თუმცა არსად წასვლა არ შეუძლიათ.

# ნინი ქარსელაძე: „ვერანაირად ვერ მივიღებ ჰუმანურ ნარკოპოლიტიკას“



მომღერალი ნინი ქარსელაძე ნარკოპოლიტიკის თემას ეხმაურება და საჯაროდ აცხადებს, რომ ჰუმანურ ნარკოპოლიტიკას ვერანაირად ვერ მიიღებს:

– ნარკოტიკი ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის ძალიან მძიმე და მტკივნეული თემაა. იმ თაობას მივეკუთვნები, რომლის მშობლების უმრავლესობა ამას შეეწირა. ვინც ცოცხალია, ვაი, ამ სიცოცხლეს. სხვათა შორის, ამ თაობას ოქროს თაობას უწოდებდნენ. ამ ზედმეტსახელს ისინი ამართლებდნენ გარეგნობით, ოჯახის შვილობით, განათლებით, ვაჟკაცობით, მაგრამ რა? უმრავლესობა ჩემთვის ავადსახსენებელმა ნარკოტიკმა შეიწირა. ჩემდა სამწუხაროდ, ვერანაირად ვერ მივიღებ ჰუმანურ ნარკოპოლიტიკას.

საკმარისია! ლამაზი, ნიჭიერი და ჭკვიანი თაობების სიკვდილი ჩემთვის და ჩემი თანამოქალაქეებისთვის. ჩემი ცხოვრება ჯერ ნარკოტიკმა, შემდეგ უკვე პროგრამამ მხოლოდ ტკივილით აავსო. ეს ის თემაა, რაზეც მთელი ქალაქი ფეხზე უნდა დადგეს. შეუძლებელია პატარა ბიჭების აგრესიული გამომეტყველების ან მიძინებულ მდგომარეობაში ყურება. ეს ნარკოტიკის სახეობაზეა დამოკიდებული და ჯერ რომ ვერ ხვდებიან, რაში აქვთ თავი გაყოფილი.

დროა, მორჩეს იმ ხალხის „გაპიარება“ ტელევიზიებით, რომლებიც ცოტა „გასული“, კმაყოფილი სახეებით მორალს გვიკითხავენ, რომ ნარკოტიკის მოხმარება ორგანიზმს თურმე სულაც არ ვნებს. რა თქმა უნდა, იმ აზრსაც ვიზიარებ, რომ მომხმარებელს, ანუ ავადმყოფს არ უნდა იჭერდნენ.

პროპაგანდა გინდათ?! ჯანმრთელ და ჯანსაღ ცხოვრებას გაუწიეთ, იქნებ გადავარჩინოთ ეს თაობა მაინც და ძალიან გთხოვთ, ნუ შემომიხტებით, რომ მარიხუანა კარგია და მისი მოწევა ათასში ერთხელ არაფერს ვნებს.

# მაკა ბურდული იაკობ გოგებაშვილზე ფილმს იღებს

რეჟისორმა მაკა ბურდულმა იაკობ გოგებაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტის განხორციელება დაიწყო:

– სრული მობილიზაცია: ყველა, ვინც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მომხრეა და უნდა, 100 წლისთავისადმი მიძღვნილ პროექტში ჩართული იყოს, გატყობინებთ: ერთმა გულანთებულმა ქართველთა ჯგუფმა მგზავრობა დაუფინანსა და ჩამოდის უცხოელი ოპერატორი. წინასწარ მადლობა დიდი, ვინც კვლავაც დახმარებას გადაწყვეტს. ჩვენ ძალა ვართ და გვჯერა, იაკობი ჩვენს შთამომავლობასაც სჭირდება და იგი დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს, მაგრამ ჩვენი შვილები „დედა ენით“ უნდა სწავლობდნენ სკოლებში. ყველას მოგიწოდებთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ კეთილ საქმეში.



# ხაშურში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია „განაახლეს“




გიორგი ჩუბინიძე, რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ქომაგია, ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის „განახლებულ“ ფოტოს ავრცელებს და მიაჩნია, რომ მსგავსი სამუშაოები დანაშაულია.

**გიორგი ჩუბინიძე:**

– გული მწყდება, რომ 2010-2011 წლებში არ ვიყავი იმ ასაკის და იმ შესაძლებლობის, როგორც ახლა, რომ ეს ამბავი გამეპროტესტებინა.

დავათვალიერე ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარზე გუმბათამდე შემოკრული პერანგი და უკვე ეს წარწერაც ჩაუსვამთ.

ვალერი გელაშვილს რას ვერჩი, კაცმა ახალი ეკლესიის მშენებლობა დააფინანსა და ალბათ ისიც არ იცოდა, რომ „განახლებასა“ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დანგრევასა და ახალი ეკლესიის აშენებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ, ვინც იცოდა, რატომ არაფერი თქვა. 1904-1911 წლები კი არა, რაც გინდა მიაწერეთ ახლა, ასე უკეთ იკითხება დანაშაული.

# თაკო ნაცვლიშვილი პარიზის მოდის კვირეულში მონაწილეობს

ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი პარიზის მოდის კვირეულში მონაწილეობს.

ლამაზმანი მსოფლიოში ცნობილ მოდელებთან და ვიქტორია სეკრეტის მონაწილეებთან ერთად მსოფლიოში ცნობილი დიზაინერების უახლესი კოლექციებიდან ულამაზეს კაბებს წარადგენს.

თაკოს პირველი გამოჩენა მსოფლიო პოდიუმზე წარმატებით დაიწყო. ის გახდა პირველი ქართველი მოდელი, რომელმაც 16 წლის ასაკში პარიზის ოტ კუტიურ მოდის კვირეულზე მაღალი მოდის ბრენდების – ვერსაჩეს, ელი სააბის, დიორის, არმანის ჩვენებებზე გაიარა.

დონატელა ვერსაჩეს რჩეული გოგონა არმანის სახე გახდა და მაღალი მოდის კვირეულებშიც აქტიურად ჩაერთო.

თაკო ამჟამად პარიზში იმყოფება, სადაც მოდის კვირეულში სხვადასხვა ცნობილი ბრენდის ახალი კოლექციების ჩვენებებში მონაწილეობს.

ქართველი მოდელი პარიზის მოდის კვირეულის ხშირი სტუმარია. მიუხედავად იმისა, რომ თაკო ვიქტორია სეკრეტის ჩვენებისთვის დაიწუნეს, მოდელი მაღალი მოდის სამყაროში სასურველი მოდელია.



## პროგრამა

**პარასკევი 26 იანვარი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.14 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25, 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.30 დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" 15.30 დოკ/ფ 16.30 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 19.00, 06.09 "რეალური სივრცე" 21.30 "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 22.15 ტ/სერ. "**განქორწინების სახელმძღვანელო ქალებისთვის**" 23.15 მხ/ფ "**გატაკა**" (ჯ.ლოუ) 01.02 მხ/ფ "**რისხვა**" 04.14 მხ/ფ "**მატყუარა ჯეიკობი**"

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 10-11 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ფავორიტი**" 5 სერ. 23.30 სერ. "**სიყვარულისთვის**" 10 სერ. 01.00 მხ/ფ "**უცნობის სიყვარული**" 02.30 მხ/ფ "**ნდობა**" 04.30 მხ/ფ "**კურდღლის სორო**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00, 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00 22.45 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, 4.00, მხ/ფ 20.00 პირველები 23.10 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS 08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში 2**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 8**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო-2**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 3**" 22.30 სერ. "**მისტერ რობოტი 2**" 03.30 მხ/ფ "**მე ვარ ნომერი ოთხი**" 05.30 მხ/ფ "**ედ ვუდი**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 ანიმაცია 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.00 ახალი ამბები 12.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 02.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 3.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. " **პირადი საქმე**" 22.00 სერ. " **ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ღია სტუდია 01.30 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 ფოტოგალერეა 10.15 ეთნოგრაფიული ჩანახატი 10.30 მხ/ფ "**მყუდრო სავანე**" 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ "**მაცი ხვიტია**" 13.35 კონცერტი - კოცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის ვ.კახიძე 15.05 დ/ფ "გზა" IV ნაწ. 16.00 მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" 17.25 კონცერტი - ლექსო თორაძე მორის რაველი 18.15 მოკ. მხ/ფ "**აპრილი**" 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.25 "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.35 დ/ფ "თიხით მოუბარი" 22.00 სიახლენი 22.20 მოკ. მხ/ფ "**ჩამავალი მზე**" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "შემოდგომა" 00.15 მხ/ფ "**ცისფერი მთები**" 01.45 კონცერტი - სტუდენტური სიმფონიური ორკესტრი 02.50 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**"

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5098

ევრო — 3.0971

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5373

100 რუსული რუბლი — 4.4547

## ამინდის პროგნოზი 26 იანვრისთვის







## 9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

# ქალი ჩანთაში

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 150 ამბავი ნობელიანტ ფიზიკოსებზე




გუშინ წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუში" გაიმართა ფიზიკოსისა და გამომცემლის კახმეგ კუდავას წიგნის „150 ამბავი ნობელიანტ ფიზიკოსებზე" პრეზენტაცია.

წიგნში საინტერესოდ არის მოთხრობილი ნობელიანტი ფიზიკოსების ცხოვრების 150 დამოუკიდებელი ამბავი.

კახმეგ კუდავამ ისაუბრა წიგნის შექმნის მოტივაციაზე.

– ამ წიგნით მე მინდოდა, ერთგვარი პოპულარობა გამეკეთებინა ფიზიკისათვის, მეჩვენებინა, რომ ფიზიკოსები ძალიან ხალისიანი და გონებამახვილი ხალხია და მათი ცხოვრება არანაკლებ საინტერესო და ხალისიანია, ვიდრე მსახიობებისა და ლიტერატორების.

ეს არ არის მხატვრული ლიტერატურა და შეთხზული ამბები. აქ მოთხრობილია რეალურ ფაქტებზე, დოკუმენტებზე დაფუძნებული ამბები, – განაცხადა ავტორმა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც ლიტერატურის მოყვარულები, ისე ფიზიკოსები.

წიგნი გამომცემლობა „არტანუჯმა" გამოსცა სერიით „თან საკითხავი". იგი ამ სერიის მე-7 წიგნია.

წიგნი ილუსტრირებულია და საინტერესოა იმ მკითხველებისთვის, რომლებსაც მეცნიერთა ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ამბები აინტერესებთ.

## გარეტ ბეილმა ბაიერნს უარი უთხრა

მადრიდის რეალის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა მიუნხენის ბაიერნს უარი უთხრა და ის გერმანულ კლუბში კარიერას არ გააგრძელებს.

ბაიერნი მზად იყო, ბეილის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ ფეხბურთელის უარის გამო მოლაპარაკებები არ შედგა. ბეილს თავისი კარიერის გაგრძელება პრემიერ ლიგაში სურს, სადაც მის სახელს მანჩესტერ იუნაიტედს უკავშირებენ.



ზაფხულში უელსელი ფეხბურთელი, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს და ინგლისში დაბრუნდება, თუმცა თვითონ ბეილს ამის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

## იუმორი



ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– გუშინ არ ჩანდი და სად იყავი?

– მეგობართან ვიყავი და მთელი ღამე ჭადრაკს ვთამაშობდით.

– მერე, ვინ ვის?

– რა ვინ ვის!!! ჭადრაკს ვთამაშობდით.

•••

ერთმა ქალმა მეორეს შესჩივლა:

– ჩემი ქმარი უნდილია, არაფრის თავი აღარ აქვს.

– ადრე ჩემიც მასე იყო, მერე ძაღლის შამპუნით დავბანე და რომ მეცა, კინაღამ სული ამომაძრო.

ორი დღის შემდეგ ქალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და პირველი მეორეს ეუბნება:

– ეს რა მასწავლე!?

– რა მოხდა?

– სახლში რაც ძეხვი გვქონდა, სულ შეჭამა, მერე მე უკანალზე მიკბინა და მეზობლის ძუკნასთან გავარდა!

•••

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

– რატომ არ აიყვანეთ ადვოკატი?

– ყველა ადვოკატმა უარი თქვა ჩემ საქმეზე, როდესაც გაიგეს, რომ ის ხუთი მილიონი ნამდვილად არ ამიღია.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცი, შენს ქვევით რომ პროფესორი ცხოვრობს, გეი ყოფილა?

– მართლა?! რას არ გაიგებ კაცი! რამდენი წელია მასთან დავდივარ და პროფესორი თუ იყო, არ ვიცოდი.

•••

ახალი მინისტრი მოვალეობის შესრულებას შემდეგი სიტყვებით შეუდგა:

– მე თქვენ განახებთ, როგორ უნდა ქრთამის აღება!

•••

ახლობლები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– პაპაჩემი 90 წლისაა, მაგრამ ყოველ დილით, ზამთარშიც და ზაფხულშიც, ტრუსიკიანი დარბის, შემდეგ კი თავზე ორ ტაშტ ცივ წყალს ივლებს.

– ვაა, რა მაგარია.

– მაგარი კი არა, მე და ბებიაჩემი დავიღალეთ მისი მკურნალობით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 16 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი




### „მგლის ბილიკი"

ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი




### შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი




### საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან

რომან გვენცაძე




### საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა




### ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## რეალი ესპანეთის თასს გამოეთიშა

მადრიდის რეალი ესპანეთის თასის მეოთხედფინალის განმეორებით შეხვედრაში ლეგანესსთან საკუთარ მოედანზე დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. მადრიდელებმა პირველი მატჩი 1:0 მოიგეს და განმეორებით შეხვედრაში მათ ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ რეალმა ამის გაკეთება ვერ მოახერხა და 1:2 დამარცხდა.

ლეგანესისთვის ეს ისტორიული გამარჯვებაა, ხოლო რეალი სერიოზულ კრიზისშია და ამას კრიშტიანო რონალდუც აღიარებს. რონალდუს თქმით, ამჟამად რეალს რთული პერიოდი აქვს და ეს პერიოდი ფეხბურთელებმა ერთად უნდა გადალახონ.

## ნეიმარის რეალში ტრანსფერზე საუბრები არ წყდება



პსჟ-ს ბრაზილიელ ფორვარდ ნეიმარის გარშემო ჭორები არ წყდება და მის სახელს კვლავინდებურად რეალს უკავშირებენ.

ესპანურ პრესაში ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ ნეიმარს რამდენიმე წელიწადში რეალი იყიდის და ის სამეფო გუნდში კრიშტიანო რონალდუს შემცვლელად მოიაზრება. თვითონ ნეიმარი ამ ყველაფერს უარყოფს და ამბობს, რომ საფრანგეთიდან წასვლას არ აპირებს, თუმცა მსგავსი ინფორმაციები მაინც ვრცელდება.

## მარინ ჩილიჩი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა

ხორვატი ჩოგბურთელი მარინ ჩილიჩი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა. ჩილიჩმა ნახევარფინალში ბრიტანელი ჩოგბურთელი კაილ ედმუნდი დაამარცხა სამ სეტში და თავის კარიერაში მესამედ ის დიდი სლემის ტურნირის ფინალში ითამაშებს.

ჩილიჩს 2014 წელს ამერიკის ღია პირველობა აქვს მოგებული, ხოლო შარშანდელ სეზონში უიმბლდონის ფინალში გავიდა, სადაც როჯერ ფედერერთან დამარცხდა. ამჯერად ჩილიჩის მეტოქე, სავარაუდოდ, ისევ ფედერერი იქნება, რომელიც თავის ნახევარფინალს პარასკევს ითამაშებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

გაზეთ „ახალი თაობის" რედაქტორს,
ჩვენს საყვარელ
**ლალი ასლანიშვილს**
ვულოცავთ დაბადების დღეს,
ვუსურვებთ ოცნებების
ასრულებას,
ყოველგვარ სიკეთეს,
ჯანმრთელობასა და
წარმატებებს პირად
ცხოვრებასა და
ჟურნალისტურ
საქმიანობაში.
უფლის წყალობა
არ მოჰკლებოდეს!
*სიყვარულით, „ახალი თაობა"*

## კროსვორდი ა

**შვეულად**; 1. ყურძნის კრეფა; 2. ძილის მომგვრელი საშუალება; 3. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა; 5. პატარა კაფე-სასაუზმე გერმანიაში; 6. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 7. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. დროის მონაკვეთი კრივში; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 14. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 16. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. სიგრძის მანძილის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 20. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში.

**თარაზულად**: 1. ფლანდრიელი მხატვარი; 4. მუშაობის ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 8. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 9. კომბინაცია პოკერში; 10. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 12. მაბეზღარის, ჯაშუშის ძველი სახელწოდება; 14. დედალი ჯიხვი; 15. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 16. ძვირფასი ლითონის სუფთა წონა მონეტაში; 18. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 21. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 22. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

